ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარი რაზმაძე

საქართველოში არსებული საარჩევნო მანიპულაციები და მისი გამომწვევი მიზეზები

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ალექსანდრე კუხიანიძე
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი.

თბილისი
2019

ანოტაცია

საქართველოში არსებული საარჩევნო მანიპულაციები და მისი გამომწვევი მიზეზები

აღნიშნული ნაშრომი - საქართველოში არსებული საარჩევნო მანიპულაციები და მისი გამომწვევი მიზეზები, ეხება საარჩევნო მანიპულაციების ანალიზს. საკითხის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელმაც მთელი რიგი მნიშვნელოვანი დარღვევებისა და ბრალდბების ფონზე ჩაიარა. თუმცა საკითხი არ შესწავლილა სიღრმისეულად. სამეცნიერო კვლევაზე დაყრდნობით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში გაანალიზებულია 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დაფიქსირებული მანიპულაციის ფაქტები და დადგენილია ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებს, პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო მანიპულაციებში ჩართვას.

კვლევის ამოცანის შესაბამისად, თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით, გაანალიზდა ისეთი ქმედებები, როგორიცაა: ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ამომრჩევლის მოსყიდვა, დაშინება და სხვა. წინამდებარე ნაშრომი ასევე მოიცავს საარჩევნო მანიპულაციის გამომწვევი მიზეზების კვლევას და იმ ფაქტორთა განხილვას, რომლებიც წაახალისებს პოლიტიკურ სუბიექტებს, რომ ჩაერთონ არჩევნების ფალსიფიკაციის პროცესში.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა კონკრეტული მანიპულაციური ფაქტები და მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა წაახალისებს და უწყობს ხელს, პოლიტიკური აქტროების ჩართვას საარჩევნო მანიპულაციებში.

როგორც მასალათა კვლევამ აჩვენა, ისეთი მახასიათებელი, როგორიცაა ძალაუფლება, მნიშვნელოვნად განაპირობებს პოლიტიკურ სუბიექტთა ქცევის პატერნს და შესაბამისად წარმოადგენს საარჩევნო მანიპულაციაში ჩართვის განმაპირობებელ

ფაქტორს. ანალიზის პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ადგილი არ ჰქონია გაყალბებას, თუმცა პროცესებმა ჩაიარა მთელი რიგი მანიპულაციებისა და დარღვევების ფონზე. რაც ასევე წარმოადგენს კვლევის სიახლესაც ნაშრომში სიღრმისეულად განალიზებულ საარჩევნო მანიპულაციურ მეთოდებსა და მათი გამოყენების ტაქტიკასთან ერთად.

ABSTRACT

Electoral manipulations in Georgia and its causes

Tamari Razmadze

The title of this master's thesis is the electoral manipulations in Georgia and its causes. The research was done by Tamari Razmadze, in the framework of the political science degree programs.

This work - the electoral manipulations in Georgia and its causes are related to analysis of election manipulations. The issue is determined by the 2018 presidential elections that took place in the background of a number of significant violations and accusations. However, the issue was not studied in depth. Based on scientific research.

Based on the research, the study analyzes the facts of manipulation in the presidential election of 2018 and the reasons for which the political subjects are involved in electoral manipulations.

Based on the theory of the research and theoretical knowledge, the following actions were analyzed: the use of administrative resources, bribing the voters, intimidation and more. This work also includes research into the causes of election manipulation and discussion of factors that encourage political subjects to engage in election falsification.

The objective of the research was concrete manipulation facts and opinions about what encourages and encourages political engagement in electoral manipulation.

As the material research has shown, such a characteristic as power, significantly determines the behavior of the political subjects and, therefore, the factor of involvement in electoral manipulation. The analysis also revealed that the 2018 presidential elections did not take place for fraud, but the proceedings took place on a number of manipulations and violations. Which is also a novelty of research, along with the in-depth analysis of the manipulation methods and their tactics.

სარჩევი

შესავალი 6

I თავი 16

საარჩევნო მანიპულაციის განსაზღვრება 16

1.1 მანიპულაციის ზოგადი მნიშვნელობა 16

1.2 საარჩევნო მანიპულაციის გამომწვევი მიზეზები 18

1.3 მანიპულაციის სახეები 21

1.4 საარჩევნო ხმის ყიდვა 23

II თავი 27

საარჩევნო მანიპულაციები საქართველოში 27

2.1 არჩევნების მოკლე მიმოხილვა 1990-2018 წ.წ. 27

2.2 საკანონმდებლო ჩარჩო 30

2.3 2018 წლის წინასაარჩევნო გარემოს შფასება და სოციალური მედიის როლი 33

2.4 ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება 36

2.5 ოპოზიციური პარტიების მიერ მართული ფალსიფიკაციის პროცესები 39

2.6 კოორდინატორთა სისტემის გავლენა 2018 წლის არჩევნების შედეგებზე 42

2.7 არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო გარემო და შედეგები 45

III თავი 49

საარჩევნო მანიპულაციის გამომწვევი მიზეზები საქართველოში 49

3.1 სოციო-ეკონომიკური ფონი და საარჩევნო კულტურა 49

3.2 რატომ მანიპულირებენ პოლიტიკური სუბიექტები საარჩევნო პროცესებით 52

3.3 როგორ ვებრძოლოთ საარჩევნო მანიპულაციას 53

დასკვნა 56

გამოყენებული ლიტერატურა 58

დანართი 1 63

დანართი 2 65

შესავალი

საარჩევნო მანიპულაცია წარმოადგენს იმ ფენომენს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა, ნებისმიერი განვითარებული და დემოკრატიული სახელმწიფოს მიზანს და სტრატეგიას წარმოადგენს, ვინაიდან იმ სახელმწიფოებში სადაც მაღალია მანიპულაციის მაჩვენებელი, როგორც წესი დაბალია სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონე, მაღალია კრიმინალი, გამოძალვა, რეკეტი და ა.შ. საარჩევნო მანიპულაცია განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის დემოკრატიასა და ხელისუფლების ლეგიტიმაციას. ის ზღუდავს ამომრჩევლის რეალური ნების გამოვლენასა და ერთმნიშვნელოვნად ემსახურება, ცალკეული, პოლიტიკური სუბიექტების ინტერესების გატარებას.

2012-2013 წლებში, საქართველოში ჩატარებულმა არჩევნებმა გააჩინა იმედი, რომ მოხდა მანადმე არსებული მავნე პრაქტიკის დაძლევა და არჩევნები იქცა ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლის და საზოგადოების ნების გამოვლენის ბერკეტად, თუმცა შემდგომმა პროცესებმა ეს რწმენა შეარყია. განსაკუთრებული დაპირისპირებისა და სიმწვავის ფონზე ჩაიარა, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა. რაც განპირობებული იყო ოპოზიციის მხრიდან, მმართველი პარტიისადმი გამოთქმული ბრალდებებით, რომ ისინი ჩართული იყვნენ არჩევნების ფალსიფიკაციის პროცესში და ადგილი ჰქონდა საარჩევნო მანიპულაციების გამოყენების მცდელობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საკითხთან მიმართებაში მანიპულაციას, ისეთივე შინაარსობრივი დატვირთვა აქვს, როგორიც კორუფციას და, ეს ორი, ერთმანეთის სინონიმს წარმოადგენს.

მართალია ხელისუფალი ცალსახად უარყოფდა მანიპულაციური ფაქტების არსებობის შესაძლებლობას, თუმცა არსებითი დარღვევები დააფიქსირეს საერთაშორისო თუ ადგილობრივმა სადამკვირვებლო მისიებმა, რაც ამ უკანასკნელთა ანგარიშებში დეტალურად არის წარმოდგენილი.

მიუხედავდა დიდი ვნებათაღელვის, შფასებების, გამოთქმული ვარაუდების და ბრალდებებისა, პრობლემას წარმოადგენს ის, რომ დღემდე არ გვაქვს საკითხის სიღრმისეული ანალიზი, რომელიც მეცნიერულ კვლევაზე დაყრდნობით გასცემს პასუხს, თუ რა პროცესებთან გვქონდა საქმე. იყო ეს შემთხვევითი დარღვევები, რომელზეც ოპოზიცია საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის მიზნით აპელირებდა, თუ რეალურად ჰქონდა ადგილი მანიპულაციას და არჩევნების მასობრივი გაყალბების მცდელობას. ამავდროულად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ საკითხის შესწავლის აუცილებლობა განპირობებულია იმითაც, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, უკვე წარმოადგენს აზრთა სხვადასხავობის, დაპირისპირების და საარჩევნო მანიპულაციების, შესაძლო გამოყენების, ბრალდების საგანს.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სიღრმისეული ანალიზი, გამოვლენილი მანიპულაციური მეთოდების კლასიფიკაცია, მათი განხილვა როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო გამოცდილებასთან მიმართებაში და საარჩვნო კორუფციის გამომწვევი და წამახალისებელი ფაქტორების გამოვლენა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს აუცილებლობას საარჩევნო მანიპულაციების კვლევის კუთხით.

შესაბამისად კვლევის **მიზანს** წარმოადგენს, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შეფასების და საარჩევნო მანიპულაციების ანალიზის პარალელურად განხორციელდეს იმის დადგენა, თუ რა ფაქტორები განაპირობებენ პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან საარჩევნო კორუფციაში და მანიპულაციურ ქმედებებში ჩართვას. კვლევის მიზანი, კი, განსაზღვრავს შემდეგ **ამოცანას:** აუცილებელია საარჩევნო პროცესში გამოვლენილი დარღვევების, შესწავლა და იმის იდენტიფიცირება, თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული დარღვევები ე.წ. კორუფციულ საქმიანობას. გარდა ამისა, უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ბაზის, წინასაარჩევნო გარემოს, ინსტიტუციური ხარვეზების, სხვა და სხვა შესაძლო

კორუფციული სქემების და არასამთავრობო სექტორის შეფასებათა ანალიზი, რათა მოხდეს იმის დადგენა, თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს, საარჩევნო მანიპულაციებში, პოლიტიკური სუბიექტების ჩართვას.

საკვლევი შეკითხვა დაისმის შემდეგნაირად: რა ფაქტორები განაპირობებენ საარჩევნო მანიპულაციაში პოლიტიკური სუბიექტების ჩართვას?

ანალიზის ერთეულს წარმოადგენს კონკრეტული კორუფციული და მანიპულაციური ფაქტები და მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა წაახალისებს და უწყობს ხელს, პოლიტიკური აქტორების ჩართვას საარჩევნო მანიპულაციებში.

აღნიშნული ინფორმაციები შესაძლოა, რომ იყოს მრავალგვარი. შეიცავდეს ისეთ საკითხებს როგორიცაა ქრთამის აღება, ამომრჩევლის მოსყიდვა, შანტაჟი და დაშინება, ხმების გაყალბება, ასევე ნეპოტიზმი და სხვა. გარდა ამისა წამახალისებელ ფაქტორთა კვლევისას ყურადღება გამახვილდება, პირად ინტერესებზე, ძალაუფლებისაკენ სწრაფვის პრიმატზე, საზოგადოებრივ დამოკიდებულებაზე, კულტურულ ფონზე და რაც მთავარია სახელმწიფოს ქმედუნარიანობაზე. შესაბამისად აღნიშნული ინფორმაციებისა და ფაქტების საფუძველზე ჩვენ შევძლებთ კვლევის მიზნის განხორციელბას.

გამოითქმის ვარაუდი, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა სერიოზული კორუფციული დარღვევებით ჩაიარა, აქედან გამომდინარე **ჰიპოთეზა** შემდეგნაირად ფორმულირდება: ძალაუფლების შენარჩუნების ან მოპოვების სურვილი, პოლიტიკურ სუბიექტებს უბიძგებს ჩაერთონ საარჩევნო მანიპულაციებში. სადაც ძალაუფლების შენარჩუნების ან მოპოვების სურვილი წარმოადგენს დამოუკიდებელ, ხოლო საარჩევნო მანიპულაციაში ჩართვა კი დამოკიდებულ **ცვლადს.** თუკი მოვახდენთ არსებული **ცვლადების ოპერაციონალიზაციას,** პირველ რიგში მნიშვნელოვანი იქნება იმის განმარტება, რომ პოლიტიკურ სუბიექტებში მოაზრებიან არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიები. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების შეფასებები, დამოუკიდებელ ცვლადთან, ანუ, ძალაუფლების შენარჩუნების ან მოპოვების

სურვილთან მიმართებაში, მოგვცემს შესაძლებლობას განვსაზღვროთ რეალურად წარმოადგენს თუ არა დამოუკიდებელი ცვლადი მნიშვნელოვან ფაქტორს, საარჩევნო მანიპულაციის წახალისების ან მასში ჩართვის თვალსაზრისით. ხოლო, რაც შეეხება დამოკიდებულ ცვლადს, ამ შემთხვევაში ცნებების განმარტება გაცილებით მარტივია, ვინაიდან ჩვენ ზუსტად ვიცით ის კონკრეტული ქმედებები, რომლებიც შეგვიძლია მოვიხსენიოთ, როგორც საარჩევნო მანიპულაცია. მაგალითად აქ იგულისხმება: ქრთამის აღება, ამომრჩევლის მოსყიდვა, ბიულეტენების ჩაყრა, დაშინება, იძულება, საარჩევნო უნაბზე სიტუაციის დაძაბვის ან პროცესის ჩაშლის მცდელობა და სხვა.

ლიტერატურის მომოხილვა- საარჩევნო მანიპულაციის კვლევის თვალსაზრისით, საკმაოდ მნიშვნელოვანია განვიხილოთ სარა ბირჩის (Sarah Birch) მსჯელობა, რომელიც გვესაუბრება საარჩევნო კორუფციის გამომწვევ მიზეზებზე. მისი აზრით მანიპულაციის ისეთი ფორმები, მაგალითად როგორიცაა: ამომრჩევლის მოსყიდვა ან თაღლითობა, ჯერ კიდევ ძველ სპარტასა და ათენში იყო გავრცელებული (Birch, 2011, გვ.1), ამიტომ ჩვენ ვერ ვიტყვით რომ ეს არის მხოლოდ თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი პრობლემა. ამასთანავე ავტორი თვლის, რომ საარჩევნო მანიპულაცია სამი ძირითადი მეთოდით ხორციელდება. ესენია:

- წესებით მანიპულირება- მოიაზრება საკანონმდებლო ჩარჩო.
- ამომრჩევლით მანიპულირება.
- ხმებით მანიპულირება. ამ უკანასკნელს ძირითადად მიმართავს საარჩევნო ადმინისტრაცია. (Birch, 2011, გვ.1)

რაც შეეხება მანიპულაციის გამომწვევ მიზეზებს ამ შემთხვევაშიც ავტორი სამ ძირითად ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას.

- ინსტიტუციური ჩარჩო. მაგალითად სასამართლო და საარჩევნო სისტემები.
- სოციო-ეკონომიკური ფაქტორები. აქ იგულისხმება არა მხოლოდ საზოგადოების ეკონომიკური განვითარების დონე, არამედ კულტურა, ტრადიციები, ფსიქოლოგიური მახასიათებლები, ისტორია და ა.შ.

- საერთაშორისო გავლენა, რომლის მოხდენაც შეუძლიათ არჩევნების პროცესში ჩართულ სადამკვირვებლო მისიებს. (Birch, 2011, გვ.6)

ამასთანავე მკვლევარი აღნიშნავს, რომ საარჩევნო მანიპულაცია ესაა ისეთი ტიპის ფენომენი, რომელსაც არასდროს არ ჰყავს მხოლოდ ერთი მონაწილე და მასში ყოველთვის არის ჩართული რამოდენიმე მხარე. (Birch, 2011, გვ.6) აქედან გამომდინარე ჩვენ შგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ სახელისუფლებო პარტიების დადანაშაულება საარჩევნო პროცესების ფალსიფიკაციაში ცალსახად არასწორია, ვინაიდან ოპოზიციაც ისეთივე მხარეა, როგორც ხელისუფალი, მიუხედავად იმის, რომ მას შეიძლება ნაკლები ბერკეტი და ფინანსური სახსრები გააჩნდეს. ავტორი ასევე ყურადღებას ამახვილებს ისეთ ფაქტებზე, როგორიცაა ლეგიტიმაციის საკითხი და ძალაუფლება, სადაც ის აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ აქტორებს უმეტესად ძალაუფლებისაკენ სწრაფვის მოტივაცია უბიძგებს, რომ მანიპულაციურ პროცესებში ჩაერთონ, და ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი მაგალითად, როგორიცაა ლეგიტიმაცია და მისი შესაძლო სიმყიფე ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას მათ ქმედებებზე. (Birch, 2011, გვ.6)

თუმცა გარდა იმის ანალიზისა, თუ რატომ ერთვებიან პოლიტიკური პარტიები საარჩევნო კორუფციაში/მანიპულაციაში, აუცილებელია ისიც გვაიაზროთ, თუ რატომ აძლევენ მოქალაქეები მსგავს სუბიექტებს ხმას, მაშინ როცა მათ ცალსახად იციან არჩევნების პროცესის ფალსიფიკაციის შესახებ. ავტორები, მეთიუ ვინთერსი და რებეკა უელტსი, (Winters. Weitz) ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ მოქალაქეებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ კორუფციის ფენომენის შესახებ. (Winters, Weitz, 2013, გვ. 418) ან ეს განპირობებულია იმით, რომ რიგითი ამომრჩევლები შემდგომ თავად იღებენ სარგებელს კორუმპირებული პოლიტიკოსებისგან. ისინი მიუთითებენ ბრაზილიაში ჩატარებული კვლევის მაგალითზე, რომლის თანახმადაც მოსახლეობის საშუალო და ღარიბ ფენას სურს რომ დაისაჯონ არჩევნების ფალსიფიკაციაში მხილებული პირები, ხოლო მაღალი შემოსავლების მქონე მოქალაქეები კი ნაკლებად უარყოფითად

რეაგირებენ მანიპულაციის ფაქტებზე. (Winters, Weitz, 2013, გვ. 418) რაც გვაფიქრებინებს, რომ სწორედ კორუფციის მეშვეობით აგროვებს საზოგადეობის ნაწილი ქონებას და მატერიალურ კეთილდღეობას, შესაბამისად ისინი მოწოდებულნი არიან, რომ ხელისუფლებაში დიდხანს დარჩნენ ის სუბიექტები, რომლებიც ხელს უწყობენ მათ ყოველივე ამაში.

თუმცა გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მიზეზი შესაძლოა ასევე იყოს, თავად ის ფაქტიც, რომ პროცესების საყოველთაო ფალსიფიკაცია და კორუფციის მაღალი დონე საზოგადოებას ართმევს რეალური არჩევანის გაკეთების საშუალებას, შესაბამისად ისინი იძულებული არიან შეეგუონ არსებულ რეალობას. (Winters, Weitz, 2013, გვ. 419)

თუკი ვთანხმდებით, რომ არსებობს ე.წ. საარჩევნო კორუფცია/მანიპულაცია, მაშინ მნიშვნელოვანია იმ მეთოდოლოგიაზე შეთანხმებაც თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ მას. მკვლევარები ხეზონაკისი, კოსმიდისი და დალბერგი (Xezonakis, Kosmidis, Dahlberg) კონსტიტუციონალიზმის მნიშვნელობას უსვამენ ხაზს, სადაც პროცესები მიმდინარეობს გამჭვირვალედ და პოლიტიკურ სუბიექტებს ანგარიშვალდებულების საკმაოდ მაღალი დონე აქვთ. (Xezonakis, Kosmidis, Dahlberg, 2015, გვ. 162) ანუ ჩვენ მივდივართ იქამდე, რომ ავტორთა ნაწილი, საარჩევნო კორუფციის/მანიპულაციის წინააღმდეგ ქმედით ბერკეტად კონსოლიდირებულ დემოკრატიასა და პლურალიზმს მიიჩნევს, ვინაიდან ისინი თვლიან, რომ სწორედ პლურალური სისიტემა იძლევა კორუფციის მონიტორინგის საშუალებას. (Xezonakis, Kosmidis, Dahlberg, 2015, გვ. 167) თუმცა თანამედროვე კვლევებმა ცხადყო ისიც, რომ არც კონსოლიდირებული დემოკრატიები და პლურალური სისტემები არიან დაცული მსგავსი ფაქტებისგან, უფრო მეტიც, 80-ზე მეტი ქვეყნის შესწავლით დადგინდა, რომ დემოკრატიის ხარისხსა და საარჩევნო მანიპულაციას შორის კორელაცია სუსტია, რადგან ფალსიფიკაციის პრაქტიკას იყენებენ მაშინ, როდესაც ძალადობის ღია ფორმებს ვერ გამოიყენებენ. (Kurer, 2001, გვ. 63) შესაბამისად ავტორი კვლევაში, თუ რა უბიძგებს ამომრჩეველს, რომ მხარი დაუჭიროს მანიპულაციურ ქმედებაში მხილებულ აქტორებს,

განავითარებს აზრს, რომ ხშირად „პოლიტიკური ელიტა“, ანუ ამ შემთხვევაში პოლიტიკური სუბიექტები, კორუფციას ნორმად მიიჩნევენ, ეს მათი ერთგვარი ღირებულებაა. (Kurer, 2001, გვ. 64) შესაბამისად საზოგადოება მხარს უჭერს მათ პირადი სარგებლის გამო. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კლიენტელიზმი. (Kurer, 2001, გვ. 68)

ამ თვალსაზრისით ოსკარ კურერის, ვინთერსის და უელტსის მიერ განვითარებული შეხედულებები, ერთმანეთს ემთხვევა და მიუთითებს საზოგაოდების დაინტერესებაზე, რომ პირადი სარგებლის მიღების მიზნით, იყვნენ ისეთი პროცესის მონაწილე რომელიც პირდაპირ აზიანებს საჯარო ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ჩვენ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ასეთი სოციალური ფონი უბიძგებს პოლიტიკურ პარტიებს, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში გამოიყენონ უკანონო ქმედებები.

თეორიული ჩარჩო- იმისათვის, რომ შევძლოთ საარჩევნო მანიპულაციების თემატიკის კვლევა, აუცილებელია გავაანალიზოთ ის თეორიული პოსტულატები, რომლებმაც შესაძლოა, რომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს, როგორც კვლევის, ასევე ჰიპოთეზის შემოწმების პროცესზე.

თავდაპირველად უნდა გავიაზროთ ის, რომ საარჩევნო მანიპულაცია წარმოადგენს საკმოად რთულად საკვლევ ფენომენს, რაც განპირობებულია იმით, რომ თავად პოლიტიკური აქტორები არასდროს მიუთითებენ საკუთარ გადაცდომებზე, ხოლო ოპონენტების ქმედებებზე აპელირება, კი, შესაძლოა ატარებდეს ტენდენციურ ხასიათს და არ შეესაბამებოდეს რეალობას. აქედან გამომდინარე ჩვენ უნდა დავეყრდნოთ მანიპულაციის კვლევის ისეთ თეორიულ ასპექტს, რომელიც გაანალიზებს მანიპულაციის კერძო და კოლექტიურ ფორმებს. ამ ორს შორის სხვაობა, კი, განისაზღვრება სარგებლის მიხედვით. (Amundes, 1999, გვ. 4.)

აღნიშნული თეორიის თანახმად მანიპულაციას ორი სახე აქვს, კერძო და კოლექტიური. კერძო ბუნება თავისთავად მიუთითებს, მოქმედებათა უკანონო და

ფარულ ხასიათზე. აღნიშნული უზნეობა და უკანონობა, კი, კონკრეტულ პიროვნებებს შორის არსებულ კონფედენციალურ შეთქმულებაში ვლინდება. (Amundesმ 1999, გვ. 4) ამასთანავე ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ სარგებელი ვრცელდება არა მხოლოდ მანიპულაციურ პროცესებში ჩაბმულ პირებზე, არამედ მათ გარემოცვაზეც. ამ შემთხვევაში, ჩვენ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ჩვეულებრივი ტიპის კორუფცია, რომელიც ხშირად ფართოდ არის გავრცელებული, მთელ რიგ საზოგადოებებში.

თუმცა, ამუნდესის მიხედვით მანიპულაცია ასევე შეიძლება იყოს კოლექტიური, რომლის ქვეშაც მოიაზრება არა, კორუფციის მასობრივი გავრცელება, არამედ ის, რომ მანიპულაციური, ან იგივე კორუფციული ქმედების განხორციელბის მიზანია დიდი ქვეჯგუფებისათვის სარგებლის მოტანა, რომელიც სცდება მხოლოდ ფინანსურ სარგებელს. (Amundes, 1999, გვ. 4) გამოითქმის ვარაუდი, რომ აღნიშნულ ქვეჯგუფებში ცალსახად მოიაზრებიან პოლიტიკური პარტიები. იქნება ეს მმართველი თუ ე.წ. პერსპექტიული მმართველი პარტიები,(Amundes, 1999, გვ. 4) რომლებსაც ჩვენ ასევე შეგვიძლია ოპოზიციური პარტიები ვუწოდოთ. ვინაიდან თეორია ხაზგასმით გამორიცხავს მხოლოდ ფინანსურ სარგებელს და მიუთითებს პარტიათა ჩართულობაზე, ჩვენ გვრჩება ერთადერთი ალტერნატივა, რომ აღნიშნული სარგებელი დავუკავშიროთ ისეთ ცნებას, როგორიცაა ძალაუფლება, რაც ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს პოლიტიკური პარტიების დანიშნულებიდან.

თეორიის თანახმად, კოლექტიურ მანიპულაცის ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ ხშირად ეტაპობრივი ინტეგრაცია მსგავს სივრცეში გაცილებით მარტივი და უმტკივნეულოა ვიდრე კონფრონტაცია. ამავედროს კოლეგებს, პარტნიორებს, თანაშემწეებსა და უფროსებს შორის ე.წ. შეთქმულება ადვილად ვრცელდება, რაც იძლევა შესაძლებლობას წვრილმანი მანიპულაციისა და ფალსიფიკაციის შემთხვევები გადაიზარდოს უფრო დიდ ქსელებში, ჯგუფებში და ა.შ. (Amundes, 1999, გვ. 5) მსგავს პროცეს შესწევს უნარი, რომ წარმოშვას კორუფციის/მანიპულაციის

ინსტიტუციონალიზაცია და განაპირობოს სოციალური მიმღებლობა. (Amundes, 1999, გვ. 5)

მეთოდოლოგია- აღნიშნული კვლევა ცალსახად ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდებს. რადგან სწორედ თვისებრივი კვლევა იძლევა კვლევის მიზნებისა და ამოცანების მაქსიმალურად მიღწევის საშუალებას. უფრო კონკრეტულად, კი, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი ასპექტი, რომლითაც ვხელმძღვანელობთ კვლევის პროცესში.

1. პირველ რიგში განხორციელდა საკვლევ საკითხთან მიმართებაში არსებული წყაროების ანალიზი. ამ შემთხვევაში შეგვიძლია გამოვყოთ ორი ძირითადი მიმართულება. პირველი ითვალისწინებს უცხოური ლიტერატურის და თეორიული თემატიკის განხილვას, რაც საშუალებას იძლევა, რომ გავითვალისწინოთ საერთაშორისო გამოცდილება, გავეცნოთ უახლეს კვლევებს, მიგნებებს და ცოდნას. ყოველივე ეს, კი, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ კვლევა დაეყრდნობა მრავალფეროვან ინფორმაციას, იქნება მეტად ღირებული და სანდო. მეორე მიმართულება ცალსახად მოიცავს იმ კონკრეტული შეფასებების ანალიზს, რომელებიც გაკეთდა სადამკვირვებლო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით. მოცემულ შეფასებათა ანალიზი საშუალებას იძლევა, რომ უფრო თვალნათელი და მკაფიო გახდეს კონკრეტული მანიპულაციები და არჩევნების პროცესის ფალსიფიცირების მცდელობა.
2. ამავდროულად კვლევა მოიცავს სიღრმისეულ ინტერვიუებს პოლიტიკური სუბიექტების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. რომლებიც არა მხოლოდ აფასებენ საარჩევნო პროცესს არამედ მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ საარჩევნო მანიპულაციების ხელშემწყობი გარემოებების დადგენის პროცესში, მათ შეუძლიათ შემოგვთავაზონ საკითხის განსხვავებული ხედვა და დააფიქსირონ არაერთგვაროვანი პოზიციები.

ვინაიდან კვლევა კომპლექსური ხასიათისაა, რესპოდენტთა **შერჩევა** განხორციელდა შემდეგი კრიტერიუმების საშუალებით.

1. შეირჩნენ იმ სადამკვირვებლო მისიების წარმომადგენლები, რომლებმაც არჩევნებთან დაკავშირებით წარმოადგინეს ანალიზი ან კვლევა და აქტიურად იყვნენ ჩართული არჩევნების, როგორც პირველი ასევე მეორე ტურის შეფასებაში.
2. შეირჩნენ იმ პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლები, რომლებსაც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ერთი მხრივ ჰყავდათ საპრეზიდენტო კანდიდატი წარდგენილი, ხოლო მეორე მხრივ ისინი მუდმივად აქტიურად არიან წარმოდგენილი პოლიტიკურ პლატფორმაზე.

გამოკითხვა განხორციელდა პირისპირი ინტერვიუს მეთოდით, ნახევრად სტრუქტურირებული კითხვების გამოყენებით. ეთიკის ნორმების დაცვით. რესპოდენტის მხრიდან, ინფორმირებული თანხმობის მიღების საფუძველზე. ინტერვიუს პროცესში, განხორციელდა აუდიოჩაწერა და მომზადდა ტრანსკრიპტი, რომელიც თავის მხრივ დამუშავდა კოდირების საშუალებით.

I თავი- საარჩევნო მანიპულაციის განსაზღვრება

1.1 მანიპულაციის ზოგადი მნიშვნელობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საარჩევნო მანიპულაცია, კორუფციის ერთ-ერთი ფორმაა. თავის მხრივ კორუფცია წარმოადგენს სოციალურ მოვლენას, რომელიც საზოგადოების ჩამოყალიბების პარალელურად განვითარდა და დღემდე მიიჩნევა უნივერსალურ პრობლემად, რომლის ტიპები და ფორმები არა თუ ქრება, არამდე უფრო დახვეწილ სახეს იღებს. კორუფცია, საკუთარ თავში, მოიაზრებს მრავალფეროვან მოქმედებათა ერთობლიობას. შესაბამისად ყველა ავტორი მას, განსხვავებულად და ერთგვარად სუბიექტურად განმარტავს.

ამუნდესი (Amundes) მას კიბოს ადარებს, რომელიც საზოგადოების კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ქსოვილს ჭამს. (Amundes, 1999, გვ.1) ხოლო „საერთაშორისო გამჭვირვალობის" მიხედვით კორუფცია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა, რადგან ის ძირს უთხრის „კარგ" მთავრობას, ფუნდამენტურად აზიანებს საჯარო პოლიტიკას და ანელებს კერძო სექტორის განვითარებას. (Amundes, 1999, გვ.1) მსოფლიო ბანკის განმარტების მიხედვით, კი, კორუფცია ეს, არის საჯარო ძალაუფლების, კერძო სარგებლისთვის გამოყენება.

კოლინ ნეის (Colin Nye) კლასიკური განმარტბეით, კორუფცია არის ქცევა, რომელიც არღვევს საჯარო წესებს და მოვალეობებს, ფულადი სარგებლის ან სოციალური სტატუსის მოპოვების მიზნით. (Nye, 1967, გვ. 417) ხოლო, „საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" გვეუბნება, რომ კორუფცია საჯარო სამსახურში ეს არის მოხელის მიერ თანამდებობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გამოყენება, კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით.

არაერთგვაროვანი განმარტებები ცხადყოფენ, რომ კორუფციის აღქმა დამოკიდებულია სუბიექტურ შეხედულებებზე და ჩვენ ვერ შევძლებთ ყველასთვის

მისაღები დეფინიცის ჩამოყალიბებას, ამიტომ უნდა შევჯერდეთ ზოგად მახასიათებლებზე და ვთქვათ, რომ ეს არის ქმედება რომელიც სხვისი ზიანის ხარჯზე, მიზნად ისახავს საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ერთმანეთისგან განასხვავებენ საჯარო და კერძო, რედისტრიბუციულ, ეკონომიკურ, საარჩევნო, პოლიტიკურ და ა.შ. კორუფციას. აღნიშნული განსხვავებები ძირითადად გავრცელების სფეროს მოხედვით კლასიფიცირდება. ასევე მნიშვნელობა აქვს მიზანს, თუმცა შედეგი როგორც წესი თანაბრად საზიანოა. მაგალითად, როდესაც კორუფცია მაღალი თანამდებობის ან გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის ვრცელდება ჩვენ ამას შესაძლოა, რომ ელიტური კორუფცია ვუწოდოთ, ხოლო როდესაც კორუფცია უფრო ფართოდ ვრცელდება და მოიცავს რამოდენიმე სფეროს ხშირად სისტემურ კორუფციად მოვიხსენიებთ.

საარჩვნო მანიპულაცია, საარჩვნო კორუფციის ფორმას წარმოადგენს. ზოგადად კორუფცია გაცილებით მასშტაბური და შინაარსობრივად კომპლექსური ფენომენია, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია, რომ ეს ორი ტერმინი სინონიმებად მოვიაზროთ.

ასევე უნდა ხაზი გაესვას იმ ფაქტსაც, რომ ზოგიერთი ქმედება ცალსახად კორუფციულია, ზოგი კი უბრალოდ წარმოადგენს ხელშემწყობ ფაქტორს. მაგალითად ქრთამის აღება კორუფციული ქმედებაა, თუმცა თაღლითობა, რომელიც წარმოადგენს სხვისი ნივთის ან ქონების მართლსაწინააღმდეგოდ, მოტყუებით დაუფლებას- არა. მაგრამ როდესაც თაღლითობა დაკავშირებულია სხვა, წმინდად მანიპულაციურ ქმედებასთან, ეს უკანასკნელიც იღებს კორუფციულ სახეს.

1.2საარჩევნო მანიპულაციის გამომწვევი მიზეზები

საარჩევნო მანიპულაცია, ისეთივე ძველი ფენომენია, როგორც თავად არჩევნები. მისი მნიშვნელობა ცივი ომის შემდეგ გაცილებით გაიზარდა, რაც განპირობებულია იმით, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებმა ე.წ. დემოკრატიზაციის პორცესის კვალდაკვალ, აქტიურად დაიწყეს არჩევნების ჩატარება. (Birch, 2011, გვ. 2)

როგორც ბირჩი მიუთითებს, ელექტორალურ კორუფციას, მრავალგვარი განმარტება აქვს: საარჩევნო დარღვევა, საარჩევნო გადაცდომა, საარჩევნო ბოროტმოქმედება, თაღლითობა, მანიპულირება და ა.შ. თუმცა ამ განმარტებათა დედააზრი ის არის, რომ იგი მოიცავს საარჩევნო ინსტიტუტების და პროცესების ბოროტად გამოყენებას, პირადი ან პოლიტიკური მოგების მიზნით. სადაც ხდება, არა მხოლოდ კანონით და ინსტიტუტებით მანიპულირება, არამედ ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს, პოტენციურ ამომრჩევლებზე გავლენის მოხდენას.(Birch, 2011, გვ. 2)

მაგალითად კანონით მანიპულირება მოიცავს ისეთ ქმედებებს, რომელიც ემსახურება, რომელიმე პარტიის სარგებელს. (Birch, 2011, გვ. 2,) (ძირითადად ეს შეიძლება იყოს ხელისუფალი). ამ დროს მახინჯდება ე.წ. სათამაშო მოედანი და გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს ხელი ეშლებათ საარჩევნო პროცესებში სრულყოფილად ჩართვაში. (Birch, 2011, გვ. 2) ამასთანავე ავტორის მიხედვით, ამომრჩევლით მანიპულირება ორი მეთოდით ხდება:

1. დაპირების გაცემა.
2. კამპანიის დროს უკანონო საშუალებების გამოყენება- მედიამიკერძოება, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, დაშინება, მოსყიდვა და ა.შ. (Birch, 2011, გვ. 2)

რაც შეეხება ხმებით მანიპულირებას, ეს ძირითადად ხორციელდება გაყალბებით, საარჩვნო ბიულეტენების ყუთში ჩაყრით ან საარჩევნო დავების განხილვით, რომელიც საკმაოდ ძლიერი ბერკეტია ოპოზიციური პარტიების ხელში. (Birch, 2011, გვ. 2)

ხშირად განზრახ მანიპულირებასა და დაუდევრობით გამოწვეულ გადაცდომას შორის საზღვარი ძალიან მცირეა, რაც ართულებს იმის განსაზღვრას, არის თუ არა ესა თუ ის ქმედება ცალსახად მანიპულაციური. (Birch, 2011, გვ. 3) თუმცა, ნებისმიერი ტიპის გადაცდომა აზიანებს არა მხოლოდ დემოკრატიას არამედ, ბადებს ეჭვს პროცესების გამჭვირვალობასა და ინსტიტუტების ლეგიტიმაციასთან მიმართებაში.

ჩვენ შესაძლოა ბევრი ვისაუბროთ ფენომენზე და მის მახასიათებლებზე, თუმცა ამასთანავე უნდა გავაანალიზოთ ისიც, თუ რა ფაქტორები უწყობენ ხელს საარჩევნო მანიპულაციის გავრცელებას. ძირითადად კორუფციის ფესვები სოციო-ეკონომიკურ ან კულტურულ ასპექტში იმალება, ეს ორი მახასიათებელი, კი, ცალსახად ახდენს საარჩევნო პროცესების ფალსიფიკაციის, მცდელობის პროვოცირებას.

ბირჩის მიხედვით, პოლიტიკოსებს ლეგიტიმაციის და ძალაუფლების შენარჩუნების სურვილი აცდუნებთ და ხელს უწყობენ მანიპულაციურ პროცესებს. ამ შემთხვევაში, ლეგიტიმაციის რისკი ვერ აკავებს ძალაუფლებისკენ სწრაფვის მცდელობას. (Birch, 2011, გვ. 4) გარდა ამისა არჩევნების ხარისხზე გავლენას ახდენს ოპოზიციის, ხელისუფლების და საზოგადოების ინტერაქციის დინამიკა. აქ იგულისხმება ოპოზიციური პარტიების პატრონაჟი ხელისუფლების მხრიდან, სადაც რეალური ოპოზიცია სუსტდება და ნაკლებად წარმატებულია, ანუ საქმე გვაქვს ოპოზიციის ერთგვარ რეპრესირებასთან. (Birch, 2011, გვ. 4)

როგორც უკვე აღვნიშნე კულტურულ, ანუ მორალურ და სოციალურ მახასიათებლებს ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. სწორედ კულტურული ფონი ქმნის ისეთი პოლიტიკური ქცევის ფორმას, როგორიცაა ფარული გარიგებები, საჩუქრები, უპირობო სოლიდარობა კლანების ან ჯგუფებისადმი და ა.შ. (Amundes, 1999, გვ.15) ამ მიდგომის მიხედვით მანიპულაცია კულტურის ნაწილია და არა კრიმინალი. ამას შესაძლოა ლეგალური კორუფციაც ვუწოდოთ, რადგან, ამ აქტივობას საკანონმდებლო სფერო არ არეგულირებს. სწორედ ეს არის სხვაობა აფრიკულ და ევროპულ მანიპულაციებს

შორის. ამ უკანასკნელში ძირითადად პოლიტიკურ მიზეზებს აქვთ გაცილებით დიდი გავლენა, ვიდრე ისტორიულ მეხსიერებას და კუთვნილებას.

ამასთანავე არ უნდა უგულებელვყოთ ის ფაქტი, რომ თავად პოლიტიკურ პარტიათა ე.წ. „სისუსტე“ „სიძლიერის“ კოეფიციენტსაც არანაკლებ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. ასეთ შემთხვევაში ე.წ. „ძლიერ“ პარტიებს წარმატების გაცილებით დიდი შანსი აქვთ, ამიტომ საარჩევნო პერიოდში ძირითადი ყურადღება მახვილდება არა კანდიდატის შესაძლებლობებსა და პიროვნულულ მახასიათებლებზე, არამდე პარტიის წევრობაზე. (Kurer, 2001, გვ. 75) ხოლო, „სუსტ“ პარტიებს, რომელთაც წარმატების მცირე შანსი აქვთ და შესაბამისად არც საკმარისი რესურსი გააჩნიათ, რომ წინ წამოსწიონ მათი კანდიდატის პიროვნული მახასიათებლები და სერიოზული საარჩევნო კამპანია აწარმოონ ამ ფაქტორზე დაყრდნობით, გარკვეული წარმატების მიღწევის საშუალებად, ესახებათ მანიპულაციური ქმედებები და პროცესების ფალსიფიკაციის მცდელობა. შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ მმართველობაში მყოფი პარტიის თუ პარტიების დადანაშაულება ცალსახად არასწორია და არჩევნების ფალსიფიკაციის პროცესს ოპოზიციაც არანაკლები ინტენსივობით მიმართავს.

მანიპულაციური ტექნიკების გამოყენება ემსახურება მეტი ხმის მიღებას, თუმცა, ის საზოგადოებას, ასევე აწვდის ინფორმაციას პარტიის რეალური შესაძლებლობების შესახებ. პოლიტიკური სუბიექტებისთვის ფალსიფიკაცია წარმოადგენს სისუსტის შენიღბვის საშუალებას. (Simpser, 2013, გვ. 15) მსგავსად კურერისა, სიმპსერიც ავითარებს აზრს, რომ დიდი და ძლიერი პარტიები ნაკლებად მიმართავენ კორუფციულ მეთოდებს, რადგან მათ კარგად აქვთ გააზრებული საკუთარი შესაძლებლობების ფარგლები. როდესაც ფალსიფიკაციის ფაქტების შესახებ ინფორმაცია მჟღავნდება, პარტიები აპელირებას იწყებენ მიზანზე, რომლის წარმოჩენაც ხდება იმ ფორმით თითქოს მათ მიზანს წარმოადგენს არა გამარჯვება არამედ რაღაც სხვა. (Simpser, 2013, გვ. 15) ფაქტობრივად, ასეთ შემთხვევაში, საქმე

გვაქვს მესიანისტური პოლიტიკის გატარების მცდელობასთან. სადაც პოლიტიკური სუბიექტები ცდილობენ საკუთარი „ბნელი მხარე“ იმგვარად შეფუთონ, რომ კვლავ შეცდომაში შეიყვანონ ამომრჩეველი. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ისეთი ცნებები, როგორიცაა დემოკრატი და ანგარიშვალდებულება, არ წარმოადგენს კორუფციის შემაკავებელ ფაქტორს და თავად მოქალაქეებშიც პირადი სარგებლის მიღების ინტერესი გაცილებით დიდია, ვიდრე საჯარო სამართლიანობა და კანონიერება, საარჩევნო მანიპულაცია იღებს მუდმივ სახეს. არ აქვს მნიშვნელობა რომელი პოლიტიკური სუბიექტი წარმოადგენს მმართველ ძალას ან ოპოზიციას, როგორია მათი ძალთა ბალანსი ან გავლენის ხარისხი, საარჩევნო მანიპულაციას მიმართავს ყველა სუბიექტი, სხვაობას კი მხოლოდ მასშტაბი წარმოადგენს.

1.3მანიპულაციის სახეები

მანიპულაციურ ქმედებად შეგვიძლია მივიჩნიოთ მთელი რიგი დანაშაულებები, რომლებიც როგორც წესი, ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ამიტომაც ხშირად დამაბნებველია. თუმცა ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ის ძირითადი მეთოდები, რომლებიც უშუალოდ ეხება საარჩევნო პროცესებს:

ქრთამის აღება - ეს არის ფულადი სახის სარგებელი, რომელიც კორუფციის ყველა ფორმას ახასიათებს. რიგითი მოქალაქეები, ამ მეთოდს, ძირითადად ბიუროკრატიისაგან თავის ასარიდებლად, ხოლო ჯგუფები, ბიზნესი და კორპორაციები, კი, პოლიტიკური ფავორიტიზმის მოსაპოვებლად ან რეგულაციებისგან თავის ასარიდებლად იყენებენ. საარჩევნო პროცესებთან მიმართებაში ქრთამის აღება ვლინდება შემდეგ ასპექტებში: კონკრეტული პირებისთვის მხარდაჭერის მოთხოვნა, გარკვეულ ფაქტებზე გაჩუმება, რომელმაც შესაძლოა კანდიდატი დააზარალოს, მესამე მხარის სახელით შეკვეთილი მასალების მომზადება, რომელიც აკნინებს ან პირიქით პოლულარიზაციას უწევს პოლიტიკურ

სუბიექტს, სადაც წარმოჩენილი შესაძლოა არ შეესაბამებოდეს რეალობას. ანუ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს, ფულადი სარგებლის მიღების სანაცვლოდ ისეთ საქმიანობასთან რომელიც მორალურ ჩარჩოს სცდება. ეს ერთგვარად წარმოადგენს ხმების ყიდვას, თუმცა სხვაობა გარდა მორალური მხარისა არის, ის, რომ ქრთამს სთავაზობენ, არა რიგირთ მოქალაქეებს, არამედ, გარკვეული ძალაუფლების ან გავლენის მქონე პირებს.

გაფლანგვა - წარმოადგენს საჯარო ქონების ერთგვარ ქურდობას, ეს არ არის წმინდად საარჩევნო მანიპულაციის ფორმა, თუმცა ჩვენ ის შეგვიძლია დავუკავშიროთ ხელისუფლების მხრიდან, საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. ამ შემთხვევაში საუბარია ფინანსურ რესურსზე. ამ დროს ხდება ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა სახელისუფლებო პარტიის ან კოალიციის მიერ წარდგენილიი კანდიდატის მხარდასაჭერად.

თაღლითობა - შესაძლოა მოიცავდეს ქრთამსაც და გაფლანგვასაც. ვინაიდან, პროცესების ფალსიფიკაციის მცდელობა თავისთავად თაღლითობას წარმოადგენს, რადგან მიზანი არაკანონიერი გზებით სხვისი ხმის მითვისებაა.

კორუფციული ქმედებაა ასევე ფავორიტიზმი, რომლის შემადგენელი ნაწილია ნეპოტიზმი და კლიენტელიზმი. მაგალითად სწორედ ფავორიტიზმი განაპირობებს, რომ პოლიტიკური სივრციდან პოლიტიკოსები ხშირად კერძო ბიზნესში მიდიან. ფავორიტიზმი საშუალებას იძლევა, რომ მარტივად მოხდეს ამომრჩევლის მოსყიდვა. ეს ერთი მხრივ ზოგავს ფინანსურ რესურსებს, მეორე მხრივ, კი, მომდევნო არჩევნებისთვის წინასწარ იცის პოლიტიკურმა სუბიექტმა თუ ვინ იქნება მისი პოტენციური მხარდამჭერი. ასევე საარჩვნო მანიპულაციას, წარმოადგენს ბიულეტენების ჩაყრა, ამომრჩევლის იძულება, დაშინება და მოსყიდვა. ამ შემთხვევაში ყველაზე გავრცელებულ ფორმას მოსყიდვა წარმაოდგენს, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია ასევე ხმების ყიდვა ვუწოდოთ.

1.4საარჩევნო ხმის ყიდვა

ხმა შეგიძლია იყიდო ან გაყიდო, შესაბამისად ამ პროცესს აქვს ეკონომიკური ხასიათი. თავად, ხმის მიცემის აქტი, კი, ჰგავს ერთგვარ აუქციონს, სადაც ამომრჩეველი ცდილობს, რომ ხმა გაყიდოს უმაღლეს ფასად, ხოლო მყიდველი, ანუ პოლიტიკური სუბიექტი, კი, იყიდოს რაც შეიძლება ნაკლები რესურსის გამოყენებით. ფაქტობრივად ასეთ შემთხვევაში მოქმედებს რაციონალური არჩევანის თეორია. (Scheffer, 2002, გვ. 1)

ერთი შეხედვით ეს მარტივი პორცესია, კონკრეტული სარგებლის სანაცვლოდ მოქალაქე ხმას აძლევს რომელიმე სუბიექტს, თუმცა ამ შემთხვევაში უნდა ვიკითხოთ, რას კარგავს ამ დროს ამომრჩეველი, მხოლოდ ხმას თუ გაცილებით მეტს? ნებისმიერ შემთხვევაში პასუხი ცალსახაა. ხმის გაყიდვით იკარგება შემდგომი განვითარების პერსპექტივა. ფალსიფიკაციით ხელისუფლებაში მოსული პარტიები თუ ცალკეული პირები, არ წარმოადგენენ სანდო ძალას, რადგან მათი ლეგიტიმაცია, ნდობის ხარისხი და რეპუტაცია საზოგადოების გარკვეულ ნაწილში საკმაოდ მყიფეა. იმ პოლიტიკოსებისთვის, რომლებმაც ძალაუფლება მანიპულაციით მოიპოვეს, ძირითად დასაყრდენ ძალას წარმოადგენს საზოგადოების სოციალურად მოწყვლადი ფენა, რადგან სწორედ ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები განაპირობებენ ამომრჩეველების ლოიალობას კორუფციისადმი. ამიტომ მათი ინტერესია რაც შეიძლება დიდი იყოს ასეთი ფენა და შესაბამისად მარტივად მანიპულირებადი. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ რიგითი ამომრჩეველი, რომელიც საკუთარ ხმას ყიდის დროებით ფინანსურ სარგებელზე, ისპობს შემდგომი სოციალური კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობას.

მყიდველისა და გამყიდველის პოზიცია საგრძნობლად ცვლის თავად პროცესის არსს და საშუალებას გვაძლევს დავინახოთ თითოეული მათგანის მოტივაცია და ტაქტიკა.

კანდიდატის პერსპექტივიდან ხმების ყიდვა ხორციელდება, ფულის, საქონლის ან სერვისების შეთავაზებით. სადაც კანდიდატი იმედოვნებს, რომ ამომრჩეველზე გავლენას მოახდენს სამი გზით:

1. ამომრჩევლის ქცევა შეიცვლება ჯილდოს სანაცვლოდ.
2. შეთავაზება დაარწმუნებს მიმღებს კანდიდატის ღირსებაში და ისინი, იგრძნობენ, ერთგვარ ვალდებულებას.
3. შიში იმისა, რომ თუ არ შეასრულებენ გაცემულ დირექტივას, ვერ მიიღბენ შეთავაზებულ ჯილდოს (Scheffer, 2002, გვ. 3)

ეს რწმენა წარმოშობს სტრატეგიათა მთელს სერიას მიმწოდებლისთვის, რათა შეამოწმოს ამომრჩევლის „კეთილსინდისიერება“ და ერთგულება. ამისათვის პოლიტიკოსები ცდილობენ, რომ დაპირებული სარგებელი მხოლოდ მას შემდეგ გადასცენ მიმღებს, რაც ისინი დაარწმუნებენ, რომ ნამდვილად კონკრეტულ კანდიდატებს მისცეს ხმა. მაგალითად კორსიკაში ბიულეტენის კუთხეში ნიშანს სვამენ. შედარებით ერთგული ამომრჩეველი, კი, რომელსაც მოსყიდვა არ სჭირდება, ყალბი საბუთებით შედის საარჩევნო უბანზე. მსგავს მეთოდს, როდესაც ამომრჩეველი რამდენჯერმე აძლევს ხმას, საქართველოში „კარუსელი“ ეწოდება.

ასევე არსებობს ისეთი მეთოდიც, როდესაც ამომრჩეველს საარჩევნო უბანზე უკვე შევსებული ბიულეტენი შეაქვს, სუფთა კი გამოაქვს, სხვას გადასცემს და ასე მეორდება ეს ციკლი. ამ გზით პოლიტიკური სუბიექტები აკონტროლებენ რეალურად მისცა თუ არა მათმა პოტენციურმა ამომრჩეველმა ხმა. ეს ტექნიკა, მე-19 საუკუნეში, „ტელეგრაფის“ სახელით იყო გავრცელებული ავსტრალიასა და ბრიტანეთში. დღეს, კი, იყენებენ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: კამბოჯა, ფილიპინები, არგენტინა და ა.შ. (Scheffer, 2002, გვ. 5)

როდესაც ხმა ითვლება საარჩვნო უბანზე, იყენებენ კოლექტიური მონიტორინგის სტრატეგიას, ასეთ დროს კონტროლდება სოფლები და უბნები, ხოლო მატერიალური წახალისება მთელს სოფელსა თუ სამეზობლოზე ვრცელდება. მსგავსი ფორმატი გავრცელებულია ტაივანში, ტაილანდში, სენეგალში(Scheffer, 2002, გვ. 5) და მათ შორის საქართველოშიც. თუ საქართველოს მაგალითს განვიხილავთ, ყველაზე მწვავე ფაქტი, რომელმაც საკმაოდ შეარყია „ქართული ოცნების“ და მათი მხარდაჭერილი

კანდიდატის რეპუტაცია და პოზიცია, იყო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევენებისთვის ბოსტნეულის და სხვადასხვა პროდუქტის დარიგების ბრალდება კონკრეტულ რეგიონებში. თუმცა ასეთივე ფაქტი დაფიქსირდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც, როდესაც“ ნაციონალურმა მოძრაობამ“ წინასაარჩევნოდ ჭიათურაში, კერძოდ კი სოფელ ნატანებში, ამომრჩევლის კონკრეტული სეგმენტის მოსყიდვის მიზნით, „ღიმილიანი საქართველოს“ პროექტი დაანონსა, რომელიც მას შემდეგ შეჩერდა რაც აღნიშნულმა პარტიამ ხმების სათანადო რაოდენობა ვერ მოაგროვა.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში ფართოდ არის გავრცელებული საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლის ავტობუსებით მიყვანა. (Scheffer, 2002, გვ. 6) მსგავს ტექნიკას საქართველოშიც შევხვდებით, თუმცა ხელისუფალი ყოველთვის უარყოფს ასეთი ფაქტების არსებობას.

საარჩევნო ხმის ყიდვას, ყოველთვის ორმაგი ეფექტი აქვს და კანდიდატი ვერასდროს იქნება დარწმუნებული მოსყიდვის ეფექტურობაში. თუმცა ეს გამომდინარეობს არა ამომრჩევლის ე.წ. „პატიოსნებით“ ან ანგარიშვალდებულებით ვინმეს წინაშე, არამედ იმით, რომ ეს ლახავს პოლიტიკოსის და პარტიის რეპუტაციას. ამიტომაც საზოგადოების გარკვეულ სეგმენტში პოლიტიკური სუბიექტი ყოველთვის იქნება მორალური თვალსაზრისით მცდარი, პოლიტიკურად არ შემდგარი და ა.შ. (Scheffer, 2002, გვ. 8)

რაც შეეხება ამომრჩევლის პერსპექტივას, აქ უნდა გავიაზროთ ის, რომ ამომრჩევლისათვის შეთავაზებას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, რაც ლოგიკურიცაა, რადგან კანდიდატები ძალაუფლებისათვის იბრძვიან, ეს, კი, რა თქმა უნდა რადიკალურად ცვლის თამაშის სტრატეგიას და პლატფორმას. თუმცა არასწორია ამომრჩევლის დაკნინება და მისი იმ სახით წარმოჩენა, თითქოს ის მზადაა ყველას მიჰყიდოს საკუთარი პოზიცია და ელოდება თუ ვინ რას შესთავაზებს. შეთავაზებათა

სპექტრი თავად ამომრჩეველს შეიძლება გააჩნდეს და საკუთარი ინიციატივით შესთავაზოს მიმღებს. (Scheffer, 2002, გვ. 9) ეს სპექტრი შემდეგნაირად გამოიყუება:

1. საქონლით გადახდა
2. საჩუქარი ან ფავორიტიზმი
3. ხელფასი (Scheffer, 2002, გვ. 9)

ზემოაღნიშნული, ფაქტობრივად პასუხობს იმ შეთავაზებებს, რომელსაც კანდიდატები ამომრჩევლის მიმართ თავადვე აკეთებენ. თუმცა როდესაც კანდიდატი თავად აკეთებს ამ შეთავაზებას, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ის სუსტია, არ აქვს პოზიციები გამყარებული და ყველა შესაძლო მეთოდით ცდილობს ამომრჩეველთა გარკვეული ნაწილის მობილიზებას. ხოლო, როცა ამომრჩეველი თავად სთავაზობს პოლიტიკოსს საკუთარ ხმას, ეს ლოგიკურია, რომ გამომდინარეობდეს პარტიის ან კანდიდატის მყარი პოზიციიდან, ამ დროს ამომრჩეველმა წინასწარ იცის ამა თუ იმ სუბიექტის შესაძლებლობის შესახებ და ცდილობს, დაიმსახუროს იმ პარტიის კეთილგანწყობა, რომელსაც გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვს. თუმცა ჩნდება კითხვა, რატომ ცდილობენ ძლიერი პარტიები ამომრჩევლის მოსყიდვას, თუ მათ ისედაც წინასწარ აქვთ გამარჯვება გარანტირებული? ვფიქრობ მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს ემსახურება პოზიციების უფრო გამყარებას. შემდგომი არჩევნებისთვის, ასეთ პარტიებს საშუალება ეძლევათ, წინასწარ იცოდნენ რა რაოდენობის ამომრჩეველია მათი უპირობო ერთგული, რა კონტიგენტი საჭიროებს მოსყიდვას და რის საფასურად.

შეფერის მიხედვით, საშუალო ფენა უფრო მეტად ეწინააღმდეგება ხმის გაყიდვას და სხვა ტიპის მანიპულაციურ ქმედებებს ვიდრე დაბალი. (Scheffer, 2002, გვ. 9) განვითარებად ქვეყნებში ასეთ ადამიანებს რეფორმატორებს ეძახიან, რადგან მათ უცხოეთში მიიღს განათლება და აქტიურად გამოდიან კორუფციის წინააღმდეგ რეფორმების ინიციატივით. ამაზევე მიუთითებს ბირჩიც და მაგალითად მოჰყავს საქართველოში მომხდარი 2003 წლის რევოლუცია.

II თავი - საარჩევნო მანიპულაციები საქართველოში

2.1 არჩევნების მოკლე მიმოხილვა 1990-2018 წ.წ.

პოსტ-კომუნისტურ საზოგადოებებში კორუფცია ენდემურია და გარდამავალ ფენომენს წარმოადგენს, რასაც კონსოლიდირებული დემოკრატიის ნაკლებობა, არაეფექტური ბიუროკრატია და სახელმწიფოს განვითარების სისუსტე განაპირობებს. (Sajo, 2003, გვ. 181) თუმცა ასეთ ქვეყნებს, გარდა ცენტრალური აზიის რამდენიმე გამონაკლისისა, მაინც შეგვიძლია, რომ დემოკრატია ვუწოდოთ. ეს განპირობებულია ხელისუფლების, მეტ-ნაკლებად თავისუფალი არჩევნების გზით ცვლილებით.

პარლამენტარ, რომან გოცირიძის მოსაზრებით, 1990-1991 წლებში ჩატარებული უზენაესი საბჭოსა და საპრეზიდენტო არჩევნები, შეგვიძლია ჩავთვალოთ იმ პრეცენდენტად, როდესაც არჩევნები არ გაყალბებულა. სხვა შემთხვევაში ყველა მთავრობა აყალბებდა არჩევნებს. მაგალითად ედუარდ შევარდნაძის პერიოდში გამოიყენებოდა ისეთი მანიპულაციები, როგორიც იყო ბიულეტენების ჩაყრა ან ე.წ. „კარუსელის“ მეთოდი. „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის, შალვა ნათელაშვილის განცხადებით, კი, ამ პერიოდში ხდებოდა ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა საარჩევნო უბანზე შუქის ჩაქრობა, ყუთის გატაცება და სხვა ყუთით შეცვლა, წინასწარ შემოხაზული ბიულეტენების ჩაყრა და ა.შ. სწორედ მსგავსი საარჩევნო მანიპულაციების გამოყენება და პროცესების ფალსიფიცირება გახდა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებიდან წასვლის და ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი მიზეზი.

2003 წლიდან მოყოლებული, საქართველოში, არაერთი რეფორმა გატარდა კორუფციასთან ბრძოლის კუთხით. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ფართო მასებში, მალევე მოისპო ისეთი ფორმები, რომლებიც ყოველდღიურობას წარმოადგენდა, თუმცა შემდგომმა პროცესებმა აჩვენა, რომ არჩევნები, რომელიც წესით თავისუფალი ნების გამოვლენის და პროცესების გამჭვირვალობის გარანტი

უნდა ყოფილიყო, გადაიქცა მანიპულირების იარაღად. „ვარდების“ რევოლუციის მონაპოვარი 2008 წელს უკვე ცალსახად დადგა საფრთხის ქვეშ.

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევენებზე, როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა ორმოცამდე საარჩვნო უბნის შედეგი, რაც განპირობებული იყო გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევებით. თუმცა სადამკვირვებლო მისიების, მათ შორის ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ანგარიშის მიხედვით არჩევნები ერთმნიშვნელოვნად კონკურენტულ და თავისუფალ გარემოში ჩატარდა. (ეუთოს ანგარიში, 2008)

გაცილებით მწვავე იყო 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევენები. იყო ბრალდებები, ხელისუფლების მხრიდან დაშინებისა და ძალადობის ფაქტების შესახებ. ოპოზიცია ასევე აპელირებდა ხარვეზებით შედგენილ საარჩევნო სიებზე და „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე. მოგვიანებით ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ დაადასტურა, რომ ნამდვილად ჰქონდა ხელისუფლების მხრიდან ადგილი, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას.(ეუთოს ანგარიში, 2008, 4 მარტი) ასევე სადამკვირვებლო მისიები აღნიშნავდნენ, რომ ხდებოდა მედიამიკერძოება, განსაკუთრებით, კი, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის სასარგებლოდ. თუმცა აღნიშნულია ისიც, რომ ტელეკომპანია „კავკასია“ ცალსახად იყო მიკერძოებული ოპოზიციური პარტიების სასარგებლოდ. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, ტელეკომპანია „კავკასიის“ როლი, ოპოზიციური პარტიების მხრიდან მართულ პროცესებში შემდგომაც არანაკლებ დიდი იყო, განსაკუთრებით ხაზგასასმელია 2012 წლის მოვლენები. პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, რომელიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე საპრეზიდენტო კანდიდატი გახლდათ, პირდაპირ აცხადებს, რომ მისი და სხვა მცირე ბიუჯეტიანი ოპოზიციური პარტიების ერთადერთი მედია ბერკეტი სწორედ ტელეკომპანია „კავკასიაა“.

2008 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შეფასებას შორის ასეთი კონტრასტი შესაძლოა გამოწვეული იყოს ორი მნიშვნელოვანი ფაქტორით. პირველ რიგში შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ვინაიდან საპრეზიდენტო არჩევნები დროში უსწრებდა საპარლამენტოს, ხელისუფალმა გაითვალისწინა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების შეფასებები და რეკომენდაციები. მეორე ფაქტორი, საპრეზიდენტო მმართველობაში უნდა ვეძებოთ. ვინაიდან 2008 წლის მდგომარეობით საქართველო საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყანა იყო, ლოგიკურია რომ, „ნაციონალური მოძრაობა“ მიხეილ სააკაშვილის კანდიდატის გამარჯვებისთვის, გამოიყენებდა ფალსიფიკაციის მეთოდებს.

რადიკალურად განსხვავდებოდა 2012-2013 წლების არჩევნები. მართალია 2012 წელს იყო საუბარი ძალადობრივ მეთოდებსა და დაშინებაზე, თუმცა ეს არჩევნები საქართველოს ისტორიაში ითვლება გარდამტეხ მომენტად, როგორც ხელისუფლების მშვიდობიანი გზით ცვლილების პრეცენდენტი. ამ არჩევნებმა საზოგადოებაში გააჩინა მოლოდინი, რომ ისეთი ფაქტები, როგორიცაა გაყალბება, მანიპულაცია და არაკანონიერი მეთოდებით პროცესებზე გავლენის მოხდენა, იქცეოდა წარსულის მემკვიდრეობად, რადგან, როგორც რომან გოცირიძე აცხადებს ეს იყო შემთხვევა როდესაც უზარმაზარი ადმინისტრაციული რესურსის მობილიზებამ ვერ გამოიღო ხელისუფლებისათვის სასურველი შედეგი. თუმცა 2016 წლის საპარლამენტო არჩევენებმა აჩვენა, რომ არც ის ხელისუფალი ამბობდა უარს მანიპულაციაზე, რომელიც საარჩევნო დემოკრატიას საკუთარ მონაპოვრად მიიჩნევდა. მართალია, მთლიანად არჩევნები დადებით კონტექსტში შეფასდა, თუმცა ადგილობრივმა სადამკვირვებლო მისიებმა, მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ საკუთარ ანგარიშებში დააფიქსირეს, რომ ადგილი ჰქონდა ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას და პარტიების მიერ საკუთარი მხარდამჭერების მობილიზებას, უბნებზე არეულობის შესატანად ან დარბევის მიზნით. (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ანგარიში. 2016. 9 ოქტომბერი) აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ტექნიკა, როგორც ოპოზიციის ასევე

ხელისუფლების მხრიდან, გამოიყენება მაშინ, როდესაც პარტიამ წინასწარ იცის მოსალოდნელი მარცხის შესახებ და ცდილობს არიოს სიტუაცია რათა გადაფაროს საკუთარი სუსტი პოზიცია. მაგალითად როდესაც პოლიტიკურმა სუბიექტმა იცის, რომ X საარჩევნო უბანზე მისი გამარჯვების შანსი საკმაოდ დაბალია, ხოლო ოპონენტი მიიღებს ხმების საკმაოდ დიდ ოდენობას, მის მიერ, წინასწარ დაქირავებული ე.წ. კოორდინატორები, ამომრჩევლები ან საარჩევნო კომისიაში მყოფი პირები სხვა და სხვა მეთოდების გამოყენებით, ცდილობენ მოახდინონ პროცესების ესკალაცია. რათა გაიზარდოს უბანზე მიღებული შედეგების გაუქმების ალბათობის შესაძლებლობა. ამით, ის სუბიექტი, რომელიც აწყობს პროვოკაციას, მიღებულ ხმებს, პოტენციურად უკარგავს ოპონენტს და ზრდის საკუთარი წარმატების შანსს.

2.2 საკანონმდებლო ჩარჩო

1948 წლის 10 დეკემბერს, გაეროს მიერ, მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. მუხლი 21-ის მიხედვით:

„ ხალხის ნება მთავრობის ძალაუფლების საფუძველია: ეს ნება გამოხატული უნდა იყოს პერიოდული და ჭეშმარიტი არჩევნების მეშვეობით, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაო და თანასწორ ხმის უფლებას და უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის ექვივალენტური თავისუფალი პროცედურების გამოყენებით“.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დელკარაციის შესრულება სავალდებულოა გაეროს წევრი ყველა ქვეყნის, მათ შორის საქართველოსთვისაც. შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, სწორედ საარჩევნო უფლებას ეხება, რომლის თანახმადაც:

„უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.“ (საქ. კონსტიტუცია, მუხლი 24, პუნქტი 1)

ხოლო, კონსტიტუციის მე-3 მუხლის მიხედვით:

„არავის არ აქვს უფლება მიითვისოს ხელისუფლება.“ (საქ.კონსტიტუცია. მუხლი 3, პუნქტი 3)

საკანონმდებლო ბაზა საქართველოში ავალდებულებს პოლიტიკურ სუბიექტებს, რომ არ მოახდინონ ხელისუფლების უზურპაცია ისეთი მანიპულაციებით, რომელიც ეხება საკანონმდებლო ჩარჩოს ცვლილებას, რადგან კანონმდებლობით შესაძლებელია ნებისმიერი ქმედების გამართლება და სამართლებრივ ნორმებში მოქცევა. მსგავსი პროცესი წარმოადგენს საარჩევნო კორუფციის მეთოდების ლეგალიზების მცდელობას. ვინაიდან გლასიერის და გოლდინის თანახმად, იქ სადაც არ არსებობს სამართლებრივი მეთოდები კორუფციასთან საბრძოლველად, ნებისმიერი მანიპულაციური ქმედება დასაშვებია. (Glaeser, Goldin, 2004, გვ. 6)

სამართლებრივი თვალსაზრისით საქართველოს კონსტიტუცია და სხვა საკანონმდებლო აქტები ქმნიან მნიშვნელოვან ბარიერს და სადამსჯელო ბერკეტს მანიპულაციური ქმედებების საწინააღმდეგოდ, თუმცა ჩვენ ამავდროულად უნდა გავიაზროთ, თუ რამდენად მუშაობენ აღნიშნული კანონები და აქვთ თუ არა რეალური გავლენა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ასევე არეგულირებს საარჩევნო პროცესებს. 162, 163 და 164 მუხლები, მიუთითებენ, რომ მოქალაქისათვის არჩევნებში მონაწილეობაში ხელის შეშლა, რომელიც ეფუძნება ძალადობას, დასჯადია კანონით. ასევე დასჯად ქმედებას წარმოადგენს საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესის ჩაშლა, საარჩევნო კომისიისათვის მუშაობაში ხელის შეშლა, ამომრჩევლისათვის ქონებრივი და ფულადი უპირატესობის ან მომსახურების შეთავაზება, ხმის მიცემა ყალბი ან სხვისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და ა.შ.

მართალია სისხლის სამართლის კოდექსი, პირდაპირ კრძალავს მოსყიდვას, ძალადობას, მუქარას, გაყალბებას და სხვა ტიპის შესაძლო მანიპულაციურ ქმედებებს,

თუმცა ხშირ შემთხევაში ფალსიფიკაციის მეთოდები გამოიყენება ცხადად. თუმცა მსგავსი ქმედებისათვის ხდება რიგითი მოქალაქეების პასუხისგებაში მიცემა, მაშინ როდესაც პროცესებს ძირითადად მართავენ პოლიტიკოსები და პოლიტიკური პარტიები. ამავეს ადასტურებს პოლიტიკოსი შალვა ნათელაშვილი. მისი თქმით, სისხლის საამრთლის კოდექსის აღნიშნული მუხლები ე.წ. „მკვდარი" მუხლებია, რომლებიც არ მოქმედებს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მანიპულაციის ფაქტები ცალსახად გამოკვეთილია.

საარჩევნო გადაცდომების აღკვეთის და რეგულაციის თვალსაზრისით, ასევე უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს საარჩვნო კოდექსის 47-ე, 48-ე და 49-ე მუხლები. რომელთა თანახმადაც:

„ არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა" (საარჩვნო კოდესქსი, მუხლი 47, პირველი პუნქტი, „ა" ქვეპუნქტი)

კოდექსის 48-ე მუხლი, კრძალავს წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, ხოლო 49-ე მუხლის მიხედვით:

„ არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში." (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49, პუნქტი 3)

ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი ასპექტია ე.წ. სესხების განულების პროექტის გაანალიზების თვალსაზრისით, ვინაიდან, სამართლებრივი თვალსაზრისით

აღნიშნულ პროგრამას ვერ ჩავთვლით საარჩევნო მანიპულაციად. რადგან პროექტის შესახებ გაცილებით ადრე დაანონსდა ვიდრე ჩატარდებოდა, საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური.

2.3 2018 წლის წინასაარჩევნო გარემოს შეფასება და სოციალური მედიის როლი

საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს არაერთი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია თუ ადგილობრივი ორგანიზაცია აკვირდებოდა. აქედან უნდა გამოვყოთ ეუთოს-დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის, საამრთლიანი არჩევნები და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED), ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) ანგარიშები. აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია გავანალიზოთ ის პროცესები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს არჩევნების მიმდინარეობის ხასიათზე და რომლებსაც შეგვიძლია საარჩევნო მანიპულაცია ვუწოდოთ.

ISFED-ის ანგარიშის მიხედვით, ჯერ კიდევ წინასაარჩვნო პერიოდში დაიწყო პოლიტიკური სუბიექტების შესახებ დეზინფორმაციის გავრცელება და უკანონო აგიტაციები. ამისათვის გამოიყენებოდა სოციალური მედია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია Facebook ანონიმური გვერდები, რომელთა დაფინანსების წყაროს დადგენა თითქმის შეუძლებელი გახლდათ. აღნიშნული გვერდები გარდა პიროვნული დისკრედიტაციისა, ცდილობდნენ გაეღვივებინათ ანტი-დასავლური განწყობები და გამოირჩოდნენ პრო-რუსული რიტორიკით. „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევდა, რომ მსგავსი ნარატივი საფრთხეს უქმნიდა საარჩვნო პროცესს. (ISFED-ის წინასაარჩევნო გარემოს შეფასება, 2018)

არა მხოლოდ წინასაარჩვნოდ, არამედ შემდგომმა პროცესებმაც აჩვენა, რომ სოციალური მედია გახდა მანიპულაციის საკმაოდ მძლავრი იარაღი. ნეგატიური საარჩევნო კამპანია და პოლიტიკოსის იმიჯის შელახვა წარმოადგენს არჩევნებში წარმატების მიღწევის ერთგვარ ბერკეტს და ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს პროცესების ფალსიფიკაციისთვის. ყოველივე ამას, თუ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მაგალითზე განვიხილავთ შესაძლოა ვთქვათ, რომ ისეთი საკითხების წინ წამოწევამ, როგორიცაა პირადი ცხოვრება და წარსული, გავლენა ვერ მოახდინა არჩევნების შედეგზე, მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად მიმდინარეობდა ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი, დამოუკიდებელი საპრეზიდენტო კანდიდატის - სალომე ზურაბიშვილის დისკრედიტაცია. თუმცა ამავედროს შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სალომე ზურაბიშვილის გამარჯვებას ხელი შეუწყო ხელისუფლების მხრიდან გამოყენებულმა სხვა უფრო მძლავრმა მანიპულაციურმა მეთოდებმა.

როგორც პარლამენტარი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი რომან გოცირიძე ამბობს, ხელისუფლება აქტიურად მიმართავს არასაარჩევნო პერიოდშიც სოციალური მედიის გამოყენებით ოპონენტების დისკრედიტაციას. იგი ასახელებს ე.წ. „ტროლების ქარხანას“, რომლის მეშვეობითაც სოციალურ ქსელებში ვრცელდება ისეთი ტიპის ინფორმაციები ოპოზიციისა და ოპოზიციური პარტიის წევრების შესახებ, რომლებიც არ შეესაბამება რეალობას. თუმცა, ის ასევე ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ მსგავს საშუალებებს ოპოზიციის მხარდამჭერებიც მიმართავენ და არაერთი გვერდი არსებობს სოციალურ სივრცეში, სადაც ხდება ხელისუფლების და ხელისუფლებასთან დაკავშირებული პირების ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიება, მათ შორის საარჩევნო პერიოდშიც.

საქართველოში პრეზიდენტს ნომინალური ფუნქცია აქვს, რაც ბადებდა განცდას, რომ არჩევნები მშვიდ და ნაკლებად დაძაბულ გარემოში ჩაივლიდა, რადგან რეალურად პრეზიდენტი არ სარგებლობს იმ უფლებამოსილებით, რომელიც პოლიტიკოსებს საშუალებას მისცემდა მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინათ პოლიტიკურ

პროცესებზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები დაძაბულ და რადიკალურად პოლარიზებულ გარემოში წარიმართა. მართალია არჩევნებში 25 პოლიტიკური სუბიექტი და მათი წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, თუმცა ძირითად დაპირისპირებულ ძალას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარდგენილი კანდიდატი - გრიგოლ ვაშაძე და „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი, დამოუკიდებელი კანდიდატი - სალომე ზურაბიშვილი წარმოადგენდა. შესაბამისად საარჩვნო მანიპულაციების გამოყენების პროცესში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა არა კანდიდატების საარჩვნო პროგრამაზე არამედ მათ წარსულზე, პირად ცხოვრებაზე და ა.შ.

ცალკეული პოლიტიკური ძალების მიერ გამოითქმოდა ბრალდებები, რომ გრიგოლ ვაშაძე ან სალომე ზურაბიშვილი იყვნენ მოღალატეები, რუსეთის აგენტები, ატარებდნენ მათ ინტერესებს და ა.შ. ასევე გამოიყენებოდა ისეთი მანიპულაციური ტექნიკა, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ან „ქართული ოცნების“ რომელიმე წევრის საზოგადოებისათვის არასასურველი იმიჯი, აღნიშნული კანდიდატების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. მაგალითად ტელეკომპანია რუსთავი 2, აქტიურად აშუქებდა „ქართული ოცნების“ წევრების ფინანსურ მდგომარეობას და მიუთითებდა ელიტურ კორუფციაზე, რომელიც შემდგომ გამოიყენებოდა სალომე ზურაბიშვილის იმიჯის შესალახად, ისევე როგორც მიხეილ სააკაშვილის ე.წ. „მტრის ხატი“, ახდენდა გრიგოლ ვაშაძის დისკრედიტაციას. შემდგომში გაერთიანებული ოპოზიციის აქტივისტები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (ძირითადად, თბილისის მეტროპოლიტენი) ავრცელებდნენ გაზეთებს, რომლებიც მომზადებული იყო ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მიერ გაკეთებულ სიუჟეტებზე დაყრდნობით, რათა გაზრდილიყო უკმაყოფილება სახელისუფლებისადმი და ამას გავლენა მოეხდინა საარჩევნო პროცესზე. განსაკუთრებით საზოგადოების მხრიდან სალომე ზურაბიშვილის პერსონის აღქმაზე.

ეუთოს ანგარიშის მიხედვით წინასაარჩევნო პერიოდში, საარჩვნო სუბიექტებს კამპანიის თავისუფლად ჩატარების საშუალება ჰქონდათ, თუმცა მაინც დაფიქსირდა ძალადობის და საარჩევნო ინვენტარის დაზიანების ფაქტები, რაზეც სისხლის სამართლის საქმე სამი პირის მიმართ იქნა აღძრული. ეუთოს ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ წინასაარჩვნო გარემო მკვეთრად პოლარიზებული იყო რაშიც ჩართული იყო არა მხოლოდ საარჩვნო სუბიექტები არამედ მედია და რიგირთი მოქალაქეებიც. (ეუთოს ანგარიში. 2018. 28 ოქტომბერი და 28 ნოემბერი)

საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველოს და საიას ანგარიშის მიხედვით,(2018. 27 ოქტომბერი) წინასაარჩვნო პროცესები, კანდიდატების მხრიდან ერთმანეთის საწინააღმდეგო აგიტაციაზე იყო აგებული, რასაც თან ერთვოდა სოციალურ ქსელებში არსებული მადისკრედიტირებელი კამპანია. ასევე ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, ამომრჩეველზე ზეწოლას, დაშინებას, მაკომპრომეტირებელი მასალების გავრცელებას სადაც საუბარი ეხებოდა ხელისუფლების მხრიდან საარჩევნოდ დაფინანსების არალეგალური სქემის გამოყენებას.

2.4 ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

იმის განსაზღვრა, თუ რა არის ადმინისტრაციული რესურსი საკმაოდ რთულია, თუმცა საარჩევნო პროცესებთან მიმართებაში მოიაზრება რომ ესაა, სახელმწიფო რესურსების, სახელისუფლებო პარტიის სასრგებლოდ გამოყენება.

ეს შიძლება იყოს:

1. ფინანსური რესურსი

2. ადამიანური რესურსი

3. მედია რესურსი

3. ძალისმიერი რესურსი (Ohman, 2010, გვ.2)

თავისთავად ცხადია, რომ ფინანსურ რესურსში მოიაზრება სახელმწიფო ბიუჯეტის და იმ სახსრების, მთავრობის სასარგებლოდ გამოყენება, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის თითოეული მოქალაქის საკუთრებას. ამ თვალსაზრისით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება მანიპულაციური ქმედებაა რამედნიმე მიზეზით. პირველ რიგში ეს არის რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება. ხოლო მეორე მიზეზს წარმოადგენს მოქალაქეთა ნების უგულებელყოფა, ვინაიდან ის გადასახადების გადამხდელი, რომელიც ავსებს ბიუჯეტის საკუთარ წილს და არ არის სამთავრობო პარტიის ან კანდიდატის მხარდამჭერი არ იქნება კმაყოფილი, რომ მის მიერ, გადასახადების გადახდის შედეგად აკუმულირებული თანხები მოხმარდეს იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც არ შეესაბამება მის პოლიტიკურ გემოვნებას და ინტერესებს.

2018 წლისთვის საჯარო სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობამ 283,800 მიაღწია. ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით 2019 წლისათვის 319,962 ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, რაც შეადგენს 963,714 მოქალაქეს. ეს ადამიანები წარმოადგენენ პოტენციურ ამომრჩეველს ხელისუფლების სასარგებლოდ. თუმცა რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითოეული მათგანი იქნება მოსყიდული, დაშინებული ან იმოქმედებს არაკანონიერი მეთოდებით ხელისუფლების სასარგებლოდ. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ზუგდიდის მე-6 სკოლის დირექტორის, ია კერზაიას საქმე. საია-ს განცხადებით არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ 2018 წელს, წინასაარჩვნო პერიოდში, სკოლებში ჩატარებული ინსპექტირება გამოიყენებოდა საარჩევნო გარემოზე ზემოქმედების მიზნით. (საია-ს ანგარიში. 2018. 27 ნოემბერი)

ძალისმიერი რესურსი, ეს არის ამომრჩეველზე და მოქალაქეებზე ძალადობრივი, უკანონო ქმედებების განხორციელება, რათა აიძულო ისინი, რომ ხმა მისცენ კონკრეტულ კანდიდატს. ძალისმიერი რესურსი აქტიურდება მაშინ, როდესაც

ადამიანური რესურსი უარს აცხადებს ხელისუფლების მიერ გაცემული დირექტივის ბრმა მორჩილებაზე. ძალისმიერი რესურსიც ისევე აქტიურად გამოიყენებოდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე როგორც ნებისმიერი სხვა ტიპის ადმინისტრაციული რესურსი. პარლამენტარ რომან გოცირიძის განცხადებით:

„დღეს უკვე თითოეულ ოჯახამდე მიდიან წერტილოვანი დარტყმებით. საჯარო სამსახურში დასაქმებული ხელისუფალის პოტენციური ამომრჩეველია, ხოლო სადაც ნახავენ მოჭოჭმანეს იქ უკვე მიდის სუსი და ხდება დაშინება.“

ყოველივე ზომოაღნიშნული ამტკიცებს ვარაუდს, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩვნებში ნამდვილად გამოიყენებოდა ადამინისტრაციული რესურსის ადამიანური და ძალისმიერი ფორმები. რაც შეეხება ფინანსურ რესურსს, ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებით აქ უკვე მნიშვნელოვანი იყო არა სახელმწიფო ბიუჯეტი არამედ ბიძინა ივანიშვილის პირადი ფინანსები.

საიას, ISFED-ის და საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს წინასაარჩევნო გარემოს შეფასების მიხედვით, საჯარო სამსახურში დასაქმებულებს პირდაპირ მიეთითებოდათ, რომ მოეგროვებინათ მხარდამჭერთა სიები, სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ.(2018, 27 ნოემბერი). იგივეს ადასტურებს NDI-ის ანგარიში, რომლის მიხედვითაც საჯარო მოხელეებს პირდაპირ ჰქონდათ დავალებული სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერთა სიების შედგენა. მათ ასევე შეძლეს და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოიპოვეს მსგავსი სიის ასლი.(NDI-ის ანგარიში, 2018, 29 ოქტომბერი). თუმცა ორგანიზაციები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები ყოველთვის არ იღებდნენ დირექტივას, ვინაიდან მათ, ისედაც იცოდნენ „რა მოეთხოვებოდათ“, რადგან სამსახურის დაკარგვის ეშინოდათ. ასეთივე მოსაზრებას ავითარებს კახა კუკავა, მისი ინფორმაციით ხელისუფალი თვლის, რომ ადმინისტრაციული რესურსი ისედაც ვალდებულია მხარი დაუჭიროს სახელისუფლებო პარტიას.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ გარკვეული ღონისძიებები გაატარა და გამოსცა ინსტრუქცია ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებით, ეუთოს შეფასებით კანონს აკლია აღსრულების მექანიზმი და ხასიათდება ფორმალურობით. ორგანიზაციის ინფორმაციით ამ საკითხთან დაკავშირებით ცესკოში სულ 37 საჩივარი შევიდა, რომლიდანაც მხოლოდ 7 დაკმაყოფილდა, რის გამოც ეუთოს წარმომადგენლები გამოხატავენ შეშფოთებას. (უთოს ანგარიში, 2018, 28 ოქტომბერი და 28 ნოემბერი)

რაც შეეხება მედია რესურსის გამოყენებას, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არ მხოლოდ სახელისუფლებო, არამედ ოპოზიციის მიერ განხორციელებულ მანიპულაციასთან. ზოგადად იგულისხმება, რომ ხელისუფალი ახორციელებს მედიაზე ზეწოლას და იყენებს მას სათავისოდ, თუმცა თუ დავეყრდნობით არასამთავრობო სექტორის შეფასებას, მედია გარემო მკვეთრად პოლარიზებული იყო, რასაც განაპირობებდა ტელეკომპანია „იმედის“ სალომე ზურაბიშვილის, ხოლო ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გრიგოლ ვაშაძის და გაერთიანებული ოპოზიციის სასრგებლოდ მობილიზება.(სამართლიანი არჩევნები, საია, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2018, 27 ნოემბერი). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტელეკომპანია „კავკასია“ ოპოზიციური პარტიების მხარდამჭრია, თუმცა არა გაერთიანებული ოპოზიციის. ხოლო ტელეკომპანია „ობიექტივი“ „პატრიოტთა ალიანსის“ დაქვემდებარებაში მყოფი ტელევიზიაა, რომელსაც აღნიშნული პოლიტიკური ძალა იყენებს ოპონენტების, განსაკუთრებით, კი „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ.

2.5 ოპოზიციური პარტიების მიერ მართული ფალსიფიკაციის პროცესები

ხშირად მიიჩნევა, რომ საარჩევნო მანიპულაცია მხოლოდ ხელისუფლების პრეროგატივაა, თუმცა პროცესებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ეს მსჯელობა არასწორია, ამავეს ეთანხმებიან ისეთი ავტორები როგორიცაა, ბირჩი და კურერი.

საქართველოში ჩატარებული 2018 წლის საპრეზიდენტი არჩევნები ასევე ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში ოპოზიციაც არანაკლებ სპეკულაციებსა და არალეგალურ ქმედებებს მიმართავს იმისათვის, რათა მოახერხოს ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

პოლიტიკოს, კახა კუკავას განცხადებით, საარჩევნო ბაზრის 95%-ს ერთმანეთთან შეთანხმებით აკონტროლებენ „ქართული ოცნება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ . ამიტომ, არჩევნების შედეგები ყოველთვის წინასწარაა ცნობილი. პოლიტიკოსს ასევე მაგალითად მოჰყავს ის ფაქტი, რომ საარჩევნო დებატები მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის წარიმართა. ამით მოხდა პროცესების იმგვარად წარმოჩენა, რომ პოლიტიკურ სივრცეში არსებობს მხოლოდ ორი სუბიექტი, რომელსაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ერთმანეთს.

იგივე აზრს ავითარებს NDI-ის წარმომადგენელი თამარა სართანია. მისი თქმით „ქართული ოცნება“ ისე წარმოაჩენდა სიტუაცის, რომ მისი დამარცხება აღიქმებოდა როგორც აპოკალიფსი, განსაკუთრებით „ნაციონალურ მოძრაობასთან“, რომელთან მუდმივი გამარჯვებაც ერთგვარ ღირსების საქმედაა ქცეული სახელისუფლებო პარტიაში. იგი ასევე განმარტავს იმას თუ რა შეიძლება მივიჩნიოთ საარჩევნო მანიპულაციის იმ მეთოდად, რომელიც შესაძლოა გამოიყენოს ოპოზიციამ.

ამ მხრივ უნდა გამოიყოს ორი გზა. მანიპულაციები რომელსაც ხელს უწყობს თავად საკანონმდებლო ჩარჩო და საკუთრივ ისეთი არალეგალური ქმედება მაგალითად, როგორიცაა ამომრჩევლის მოსყიდვა.

თამარა სართანიას აზრით, 2018 წელს ოპოზიციას საკმაოდ დიდი დახმარება გაუწია გაუმართავმა საკანონმდებლო ბაზამ. რითიც მათ შეძლეს, რომ ჰყოლოდათ ე.წ, ტექნიკური კანდიდატები. როგორც ცნობილია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივით შეიქმნა ოპოზიციური გაერთიანება „ძალა ერთობაშია“, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს უჭერდა გრიგოლ ვაშაძეს. თუმცა საპრეზიდენტო კანდიდატები დამოუკიდებლად მაინც წარადგინეს ბლოკში შემავალმა ოთხმა

პარტიამ. („ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“, „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“, „სამოქალაქო პლატფორმა- ახალი საქართველო“.) ამ უკანასკნელის შსახებ ასევე საუბარია ეუთოს ანგარიშში.

თამარა სართანიას მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ტექნიკური კანდიდატები არ აწარმოებდნენ აქტიურ საარჩევნო კამპანიას, თუმცა სარგებლობდნენ მათთვის კანონით გათვალისწინებული უფასო საეთერო დროით, რომელიც მიმართული იყო სალომე ზურაბიშვილის დისკრედიტაციისა და იმიჯის შელახვისაკენ. ამასთანავე ოპოზიცია იყენებდა არარეგისტრირებულ თანხებს, რომლის წარმომავლობის დადგენაც რა თქმა უნდა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის რთული იყო. თუმცა ოპოზიციური პარტიები მუდმივად მიუთითებდნენ, რომ მათ ჰქონდათ დაფინანსების სერიოზული პრობლემები, რაც განპირობებული იყო ბიზნესის შიშით, რომ მათზე შემდგომში შესაძლოა განხორციელებულიყო რეკეტი. ოპოზიცია ასევე აქტიურად იყენებდა ე.წ. „შავ ფულს“ კოორდინატორების ხელფასებისათვის, თუმცა შემდგომ თავად სდებდა ბრალს ხელისუფლებას, რომ იყენებდა კოორდინატორებს, როგორც მოსყიდვის, გაყალბების და მანიპულაციის საშუალებას.

კახა კუკავას მოსაზრებით „ევროპული საქართველო“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ისევე მიმართავდნენ ფალსიფიკაციას და მოსყიდვას როგორც „ქართული ოცნება“ უფრო მეტიც, ამ სამ პარტიას წინასწარ ჰქონდა გადანაწილებული თუ, რა რაოდენობის ხმის ყიდვა შეეძლოთ. ხოლო, ისეთ პატარა პარტიებს, როგორსაც თავად წარმოადგენს, არ აქვთ არჩევნების ფალსიფიკაციის არანაირი ბერკეტი გარდა იმისა, რომ ისარგებლონ მცირე ტელევიზიების მიერ დათმობილი საეთერო დროით, ან გახდნენ ხელისუფლების სატელიტი პარტიები. ეს უკანასკნელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ საკმაოდ აპრობირებული მეთოდია მთელ რიგ ქვეყნებში. რადგან, ის საშუალებას იძლევა ზედმეტი ძალისხმევის და რესურსების მობილიზების გარეშე დაიკავო

მნიშვნელოვანი პოზიცია პოლიტიკურ პლატფორმაზე. რომან გოცირიძე და შალვა ნათელაშვილი ასეთ პარტიად „პატრიოტთა ალიანსს“ მიიჩნევენ. რომან გოცირიძე ასევე აღიარებს, რომ მართალია მათ არ აქვთ ის მასშტაბები რაც ხელისუფლებას, თუმცა ოპოზიციაც მიმართავს გარკვეულ ხერხებს რათა ლეგალური, თუმცა არაეთიკური გზებით გავლენა მოახდინოს არჩევნებზე. მას მაგალითად მოჰყავს სოციალურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციები და სატირული ჟანრის სოციალური გვერდები, რომლებიც მიმართულია ხელისუფლების საწინააღმდეგოდ, ხოლო საარჩევნო პერიოდში, გმოიყენებოდა სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ.

„ქართულ ოცნებაში“ ასევე აცხადებენ, რომ სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ წარმოებული მადისკრიმინირებელი საარჩევნო კამპანია, რომელიც ლახავდა პიროვნების ღირსებას, შეიცავდა ცილისწამების და ტყუილის ელემენტებს, წარმოადგენდა ოპოზიციის მთავარ ბერკეტს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგივე ბერკეტს ხელისუფალიც საკმაოდ აქტიურად იყენებდა.

2.6 კოორდინატორთა სისტემის გავლენა 2018 წლის არჩევნების შედეგებზე

როგორც უკვე აღინიშნა საქართველოში არ არსებობს რაიმე საკანონმდებლო ბერკეტი, რომელიც აკრძალავდა ან დაარეგულირებდა კოორდინატორთა ფუნქცია-მოვალეობებს, განსაზღვრავდა მათ ანაზღაურებას, მოქმედების ჩარჩოს და ა.შ. კოორდინატორებს იყენებდა და დღესაც იყენებს ყველა ის პოლიტიკური პარტია, რომელსაც გააჩნია ფინანსური და მატერიალური ბაზა იმისათვის რათა უზრუნველყოს მათი დროული და სათანადო ანაზღაურება.

კოორდინატორს შემდეგი ფუნქცია-მოვალეობები აკისრია:

1. პოტენციურ მხარდამჭერთა სიის შედგენა

2. პოლიტიკური პარტიის და კანდიდატის სასარგებლო აგიტაცია

3. ნეიტრალური ამომრჩევლის გადაბირება

4. კანდიდატის მხარდამჭერ შეხვედრებზე, მოქალაქეთა მობილიზება

5. იმის განსაზღვრა თუ რომელი მოქალაქე რა ფასად ან რის სანაცვლოდ შეიძლება იქნეს მოსყიდული

6. არჩვნების დღეს, მხარდამჭერთა საარჩევნო უბანზე გამოცხადების მონიტორინგი

7. კონტროლი, რეალურად მისაცა თუ არა პოტენციურმა მხარდამჭერმა ხმა სასურველ კანდიდატს

ზოემოაღნიშნული პუნქტები ორ ნაწილად შეიძელბა დავყოთ. ნაწილი სრულდება წინასაარჩვნოდ, ნაწილი კი უშუალოდ არჩევნების დღეს. თუმცა რომან გოცირიძის განმარტებით, არჩევნები ყალბდება წინასაარჩევნო პროცესების მეშვეობით და არა უშუალოდ არჩევნების დღეს. თუ ვიმსჯელებთ ლოგიკურად, შესაძლოა დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას შემდეგი მიზეზით. კოორდინატორები წინასწარ აწვდიან ინფორმაციებს ხელმძღვანელობას იმის შესახებ თუ რა მოსალოდნელი შედეგი შეიძლება ჰქონდეთ, როგორია მხარდამჭერთა რაოდენობა, რომელ უბანზე ან ოლქში ექნება კანდიდატს ან პოლიტიკურ პარტიას უპირატესობა ან პირიქით. მიუხედავად იმისა, რომ განხორციელება ხდება უშუალოდ არჩევნების დღეს, პარტიული ხელმძღვანელობისგან მანიპულაციათა დაგეგმვა ხდება წინასწარ. შესაძლოა რიგითი მოქალაქეების მოსყიდვა მოხდეს უშუალოდ საარჩევნო დღეს, თუმცა ისეთი მანიპულაციები როგორიცაა, ფავორიტიზმი, ოპონენტის დისკრიმინაცია, დაშინება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და ა.შ. წინ უსწრებს საარჩვნო დღეს და ამზადებს ნოყიერ ნიადაგს იმისათვის, რათა პოლიტიკურმა ძლებმა, შეძლონ საკუთარი ინტერესების მაქსიმალურად გატარება და სასურველი შედეგის მიღება.

წინასაარჩევნო პერიოდში კოორდინატორები ძირითადად დაკავებული არიან პოტენციური ამომრჩევლების სიის დადგენით. თუმცა გარდა საკუთარი ამომრჩევლისა, ისინი ასევე საკმაოდ კარგად იცნობენ ოპონენტის ამომრჩეველს,

ვინაიდან თითოეულ საარჩვნო უბანს ძირითადად მიმაგრებული ჰყავს ის კოორდინატორები, რომლებიც ამავე საარჩევნო უბანზე აძლევენ ხმას და შესაბამისად კარგად იცნობენ იმ მოსახლეობას, რომელიც ასევე აქ აძლევს ხმას. სოფლების და პატარა რეგიონების შემთხვევაში საქმე გაცილებით მარტივდება, რადგან მოსახლეობა უკეთ იცნობს ერთმანეთს.

უშუალოდ არჩევნების დღეს მათ ევალებათ საარჩევნო უბანთან მობილიზება, იმის კონტროლი იყო თუ არა მათი ამომრჩეველი საარჩევენო უბანზე. არ ყოფნის შემთხვევაში კი სატელეფონო ზარის განხორციელება და არჩევნებზე მისვლისაკენ მოწოდება. იმ ამომრჩეველს, რომლის თანხმობა მათთვის სასურველი კანდიდატისათვის ხმის მიცემის შესახებ ეჭვქვეშ დგას, კოორდინატორები დაპირებული თანხის ან სარგებლის გადაცემამდე სთხოვენ დამამტკიცებელი არგუმენტის წარდგენას. ქართულ რეალობაში ამომრჩეველი რომელიც მოსყიდულია, ვალდებულია, რომ გადახაზოს ოპონენტი კანდიდატები, რათა გამოირიცხოს მათი შემდგომ შემოხაზვის შესაძლებლობა. შემდგომ ის ხაზავს იმ კანდიდატს, რომლის სასარგებლოდაც მოისყიდეს, საარჩევნო ბიულეტენს უღებს ფოტოსურათს და აჩვენებს კოორდინატორს. მხოლოდ ამ პროცედურების გავლით არის შესაძლებელი დაპირებული თანხის ან სარგებლის მიღება. ფაქტობრივად კოორდინატორები წარმოადგენენ დამაკავშირებელ რგოლს, პოლიტიკურ სუბიექტებსა და პოტენციურად მოსყიდვად ამომრჩეველს შორის.

კოორდიანტორთა ე.წ. „მომსახურებით“ სარგებლობს არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ ყველა ფინანსურად შედარებით ძლიერ ოპოზიციური პარტია. ამიტომ იმის მტკიცება, რომ მოქალაქეთა ამ ნაწილს, რეალური გავლენა ჰქონდა არჩევნების საბოლოო შედეგზე, ვფიქრობ მცდარია. რა თქმა უნდა ხელისუფალს მეტი რესურსი აქვს და მეტი კოორდინატორი შეუძლია დაიქირავოს, თუმცა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მაგალითი ცხადყოფს, რომ არსებული ადამიანური რესურსის მობილიზება ყოველთვის არ არის შედეგიანი, განსაკუთრებით მაშინ,

როდესაც საზოგადოებაში ხელისუფლებით უკმაყოფილება პიკს აღწევს. ასევე უნდა გავითვალისწონოთ იცის, რომ საზოგადოების ყველა ფენა არ არის მოსყიდვადი და მანიპულაციური მეთოდები გავლენას ვერ ახდენს ყველა მოქალაქეზე, ამიტომაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოორდინატორები დამხმარე ბერკეტია პოლიტიკური ძალების ხელში, თუმცა მათ არჩევნების შედეგებზე გადამწყვეტი მნიშვნელობის მოხდენა არ შეუძლიათ, რადგან ფიზიკურად შეუძლებელია გააკონტროლო ყველა პოტენციური ამომრჩეველი და ის, თუ ვის მისცეს მათ რეალურად ხმა.

2.7 არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო გარემო და შედეგები

2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე გრიგოლ ვაშაძის და სალომე ზურაბიშვილის მიერ მიღბულ ხმებს შორის სხვაობა დაახლოებით 1% იყო, ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო 50%-იანი ბარიერის გადალახვა, რამაც წარმოშვა მეორე ტურის ჩატარების საჭიროება.

NDI-ის ანგარიშის მიხედვით, მეორე ტურის წინ საარჩევნო კამპანია უფრო მეტად მტრული და აგრესიული გახდა, პროცესები ხასიათდებოდა არასტაბილურობით, ადგილი ჰქონდა დაშინებას და ძალადობას. აღნიშნულს აღიარებს, როგორც „ქართული ოცნება“ ისე „ნაციონალური მოძრაობა“ თუმცა ამაში ისინი ერთმანეთს ადანაშაულებენ. (NDI-ის ანგარიში. 2018. 29 ნოემბერი)

მეორე ტურის წინ ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ისეთი ტიპის მანიპულაციაზე, როგორიცაა ოპონენტის იმიჯის შელახვა. გრიგოლ ვაშაძის შემთხვევაში, ხდებოდა მიხეილ სააკაშვილის დაბრუნების საშიშროებაზე აპელირება, „ქართულმა ოცნება“, რომელმაც მეორე ტურისთვის, სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიის წარმართვის პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო, გაერთიანებული ოპოზიციის წინააღმდეგ აწარმოებდა ისეთ აქციას როგორიც იყო „მე ვიცავ თავისუფლება“ და „არა მიშას“.

ნეგატიური მესიჯებისა და რიტორიკის შემცველი იყო გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო კამპანიაც. ოპოზიცია სალომე ზურაბიშვილს მოღალატედ და რუსეთის ინტერესების გამტარებლად მოიხსენიებდა.

პოლარიზებული იყო ასევე მედია გარემოც. ტელეკომპანია „იმედი“ და „ რუსთავი 2 „ კვლავ განაგრძობდნენ პოლიტიკურად ანგაჟირებული სიუჟეტების მომზადებას და პოლიტიკური სუბიექტების დაკვეთით იჭრებოდნენ საპრეზიდენტო კანდიდატების პირად სივრცეში.

არჩევნების მეორე ტურისათვის მთავარ ბრალდებას და მანიპულაციის მეთოდს წარმოადგენდა ხელისუფლების მხრიდან დაანონსებული ე.წ. სესხების განულების პროექტი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საარჩვნო კოდექსი კრძალავს არჩევნების 60 დღიან პერიოდში სოციალური პროექტების განხორციელებას, თუ ისინი ამ პერიოდამდე ბევრად ადრე არ იყო დაანონსებული. ხელისუფლება მუდმივად აპელირებდა,რომ პროექტის შესახებ გაცილებით ადრე იყო დაგეგმილი თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიცია აცხადებდნენ, რომ პროექტი წარმოადგენდა დაახლოებით 600,000 ადამიანის საარჩევნოდ მოსყიდვის აქტს და სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა სალომე ზურაბიშვილის არჩევნებში გამარჯვება. თუმცა ჩვენ შგვიძლია ვიმსჯელოთ ლოგიკურად და დავადგინოთ, თუ რა რეალური გავლენა იქონია სესხების განულების პროექტმა არჩევნების სალომე ზურაბიშვილის სასრგებლოდ დასრულებაზე.

რა თქმა უნდა ლოგიკურია, რომ 600,000 მოქალაქეში იქნებოდნენ როგორც „ქართული ოცნების“ და გაერთიანებული ოპოზიციის ისე სხვა პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერები, ასევე ნეიტრალური ამომრჩეველიც, რომელიც მთავარ სამიზნეს წარმოადგენს ყველა პოლიტიკური პარტიისათვის. ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლების ძირითადი გათვლა, სწორედ ნეიტრალური ამომრჩევლის გადაბირება იყო. არჩევნების პირველ ტურზე გრიგოლ ვაშაძის და სალომე ზურაბიშვილის მიერ მიღბულ ხმებს შორის სხვაობა იყო 14,348 ხმა ხოლო საბოლოოდ

სალომე ზურაბიშვილმა გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი 367,021 ხმით დაამარცხა. ყოველივე ეს ბადებს განცდას, რომ მსგავსი სხვაობა სწორედ სესხების განულების პროექტმა განაპირობა. ოპოზიციაც მედია სივრცეში მუდმივად ამაზე აპელირებს, თუმცა პირად საუბრებში აცხადებენ, რომ რეალურად პროექტს არჩევნების შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია და სალომე ზურაბიშვილი დიდი ალბათობით ისედაც მოიგებდა, რასაც ხელისუფლების მხრიდან მიხეილ სააკაშვილისაგან მტრის ხატის შექმნა და ე.წ. „სისხლიან ცხრა წელზე“ მითითება განაპირობებდა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მართალია საესხების განულების პროექტს ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა, თუმცა არა იმხელა, რომ სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერთა რაოდენობა 367,021-ით გაეზარდა. ამ შემთხვევაში გრიგოლ ვაშაძის წინააღმდეგ წარმოებულმა ნეგატიურმა საარჩევნო კამპანიამ გაცილებით დიდი როლი ითამაშა.

მეორე ტურის პერიოდში ასევე იყო მითითებები, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ყალბ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს ამზადებდა. პირველი ტურიდან მეორე ტურამდე პერიოდში საარჩევნო სიას დაახლოებით 3,000 მოქალაქე დაემატა რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, თუმცა სულ მოქალაქეთა მატება სიაში 9,781 იყო, რაც ასევე ბადებს ეჭვს, რომ ადგილი ჰქონდა პროცესების ფალსიფიკაციის მცდელობას. (NDI-ის ანგარიში. 2018. 29 ნოემბერი)

მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ კენჭისყრის დღემ მშვიდ გარემოში ჩაიარა სადამკვირვებლო მისიებმა მაინც დააფიქსირეს ისეთი დარღვევები და ფალსიფიკაციის მცდელობები, როგორიცაა განმეორებით ხმის მიცემა, საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაყრა და ამომრჩევლის მოსყიდვა. (NDI-ის ანგარიში. 2018. 29 ნოემბერი).

ყოველივე აქედან გამომდინარე დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა მნიშვნელოვანი მანიპულაციების ფონზე ჩაიარა, რომელსაც ახორციელებდა არა მხოლოდ

ხელისუფლება არამედ ოპოზიციური პარტიებიც. პოლარიზაციისა და დაპირისპირების პროცესში ჩართული იყვნენ რიგირთი მოქალქეებიც, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს ნომინალური ფუნქცია გააჩნია, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ან გასამყარებლად პოლიტიკურმა სუბიექტებმა დახარჯეს უზარმაზარი თანხები, ჩაეღტნენ არაკანონიერ და ხშირ შემთხვევაში არაეთიკურ საქმიანობაში თუმცა რეალურად არჩევნების გაყალბებას ადგილი არ ჰქონია და ბრალდებები აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმოადგენს ოპოზიციის ბერკეტს, რათა არ აღიაროს სხვა სუბიექტის ლეგიტიმაცია.

III თავი - საარჩევნო მანიპულაციის გამომწვევი მიზეზები საქართველოში

3.1. სოციო-ეკონომიკური ფონი და საარჩევნო კულტურა

ავტორები, მეთიუ ვინთერსი და რებეკა უელტსი, (Winters. Weitz) გვესაუბრებიან იმის შესახებ თუ რა ფაქტორები განაპირობებნ მოქალაქეების ჩართვას საარჩევენო მანიპულაციებში, ისინი ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ მოქალაქეებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ თავად ფენომენის შესახებ. (Winters, Weitz, 2013, გვ. 418) გარდა ამისა მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სოციალურ ფონს და კულტურას. ამ შემთხვევაში მსურს ყურადღება გავამახვილო ამ უკანსკნელზე და საქართველოს მაგალითზე განვიხილო, თუ რა წააქეზებს მოქალაქეს, რომ იქნას მოსყიდული.

პირველ რიგში ჩვენც ყურადღბა უნდა მივაქციოთ სოციალურ ფონს. საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი, უფრო ზუსტად, კი, 963,714 მოქალაქე რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა და სახელმწიფოს მხრიდან შემწეობის მიმღებთა ერთიან ბაზაში. მაშინ, როდესაც სახელმწიფოში, რომლის მოსახლეობის რაოდენობა 3,7 მილიონ ადამიანს უტოლდება, დაახლოებით ერთი მილიონი ადამინი წარმოადგენს სოციალურად შეჭირვებულ ფენას, პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან საარჩევნოდ მანიპულირება ყველაზე მარტივი იარაღია სასურველი შედეგის მისაღწევად. თუმცა სოციალური ფონი არ ნიშნავს, რომ ყველა მოქალე აუცილებლდა ფინანსურ სარგებელზე ცვლის საკუთარ საარჩვნო ხმას.

სიტუაცია შესაძლოა იყოს ორგვარი. სოციალურად შეჭირვებული ფენა თანახმაა მიემხროს რომელიმე ძალას ფინასური ან სხვა ტიპის სარგებლის სანაცვლოდ, თუმცა ასევე ეს შეიძლება ხდებოდეს არა მანიპულაციური გზით არამედ გულწრფელად, შინაგან მრწამსზე და სიმპატიაზე დაყრნობით. ასეთ დროს ამომრჩეველი, მიუხედავად მისი სოციალური სტატუსისა და ფინანსური შესაძლებლობისა, მხარს უჭერს გარკვეულ ძალებს მათი იდეოლოგიის ან სამომავლო ხედვებიდან გამომდინარე. თუმცა თუ მაინც აქცენტს გავაკეთებთ სოციალურ ფონზე, ამ მხრივ შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეს არის არსებული სიტუაციის შეცვლის მცდელობა და რწმენა კონკრეტული პარტიის იდეებისადმი.

2018 წლის საპარლამენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ სოციალური ფონის გავლენა საკმაოდ მაღალია, არა მხოლოდ იმ მოქალაქეებში რომლებიც საარჩევნო ხმას ყიდიან, არამედ თუნდაც ე.წ. კოორდინატორების სისტემაში, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით, ასევე მოსყიდულ ამომრჩეველს წარმოადგენენ. მოსაზრებას ამყარებს ე.წ. ვალების ჩამოწერის პროგრამა და სალომე ზურაბიშვილის საკმაოდ გაზრდილი ხმების რაოდენობა არჩევნების მეორე ტურში. ფაქტობრივად საქართველოში არჩევნებს იგებს ის ვისაც შეუძლია სიღარიბის ეფექტურად მართვა.

კითხვაზე რა ღირს ქართველი ამომრჩევლის ხმა, პოლიტიკოსი კახა კუკავა პასუხობს, რომ ფასი 20 ლარიდან იწყება და ადის დახლოებით 150 ლარამდე, გააჩნია არჩევნების სიმძაფრეს და გეოგრაფიას. მისი ინფორმაციით 2018 წლის არჩევნებზე, განსაკუთრებით, კი, მეორე ტურში, საარჩევნო ხმის ფასი ზოგიერთ უბანზე 150 ლარამდე გაიზარდა. ხოლო ეთნიკურად არაქართულ მოსახლეობებში, ფულის ნაცვლად შესაძლოა, რომ გამოიყენონ პროდუქტები და სხვა სახის საქონელი.

ეკონომიკურ ფონს უმეტეს შემთხვევაში ამყარებს საარჩვნო კულტურის და ანგარიშვალდებულების არქონა, რომელსაც ძირითადად განაპირობებს არასახელმწიფოებრივი აზროვნება. ამის ფესვები ჩვენ შესაძლოა საბჭოთა გამოცდილებაში ვეძებოთ, სწორედ ეს უკანასკნელი განაპირობებს პოლიტიკური კულტურის სიმყიფეს. თუმცა გარდა ამისა ჩვენ უნდა გავიაზროთ ის თუ ვინ უფრო მეტად დამნაშავეა ის ვინც ახდენს არჩევნების ფალსიფიკაციას თუ, ის ვინც ხელს უწყობს პოლიტიკურ სუბიექტებს ყოველივე ამაში.

ლოგიკური იქნება თუ ვიტყვით, რომ საზოგადოება ამ შემთხვევაში გაცილებით დამნაშავეა ვიდრე პოლიტიკოსები და პარტიები. სწორედ საზოგადოების ინერტულობა და საკმაოდ იაფი ფასი უქმნის ნოყიერ ნიადაგს პოლიტიკურ სუბიექტებს, რომ არაკანონიერი და არაეთიკური ქმედებების ხარჯზე, რომელშიც რთავენ რიგით მოქალაქეებსაც , განახორციელონ საკუთარი პოლიტიკური თუ პირადი ინტერესები.

თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს იმის აღნიშვნა, რომ საარჩევნო და პოლიტიკური კულტურის არქონა განაპირობებს იმ ფაქტსაც, რომ მოქალაქემ შესაძლოა სულაც არ იცოდეს, რომ მანიპულაციის მსხვერპლია. ეს მიდგომა გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ ყველა ამომრჩეველი არ იყიდება ფულად და მატერიალურ შეთავაზებებზე. მაგალითად კოორდინატორი, რომელიც პირადი სიმპატიის გამოა რომელიმე პარტიის მხარდამჭერთა რიგებში, განსაკუთრებით კი ოპოზიციის, საიდანაც მას შესაძლოა არ ჰქონდეს მნიშვნელოვანი ფინანსური სარგებელი . ამ დროს მოქალაქე ხდება ფალსიფიკატორი პოლიტიკოსების მსხვერპლი, რომლებიც მისგან გაუზრებლად, შესაძლოა ავალებდნენ, მას ისეთი მანიპულაციის განხორციელებას, როგორიცა მაგალითად პოტენციური მხარდამჭერების სიის შედგენა, მათზე მოპოვებული ინფორმაციის ხელმძღვანელობისთვის გადაცემა და ა.შ.

თუმცა თუ კვლავ დავუბრუნდებით სოციალური ფონის განხილვას, შესაძლოა გამოვთქვათ ვარაუდი, რომ საზოგადოებას თავად აწყობს, ისეთი პოლიტიკური სუბიექტების არსებობა პოლიტიკურ პლატფორმაზე, რომლებიც მიზანმიმართულად ერთვებიან საარჩევნო მანიპულაციებში. ამით, ისინი ახერხებენ, რომ პერიოდულად ნახულობდნენ ფინანსურ სარგებელს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქართველოში არჩევნები საკმაოდ ხშირად ტარდება. პოლიტიკური პოლარიზაციის ფონზე კი პროცესები იმდენად მწვავე და დაძაბულია, რომ თითოეული ხმა შესაძლოა ძალიან ძვირად დაფასდეს.

3.2 რატომ მანიპულირებენ პოლიტიკური სუბიექტები საარჩევნო პროცესებით.

პოლიტიკურ პარტიებს თავიანთი დანიშნულებიდან გამომდინარე უამრავი მიზანი და ამოცანა გააჩნიათ. ეს ეხება არა მხოლოდ არჩევნებს და ამომრჩეევლთა მოზიდვას. პოლიტიკა სავსეა კულუარული გარიგებებით, ლობიზმით და ინტრიგებით. შესაბამისად პოლიტიკურ პარტიებს და პოლიტიკოსებს უწევთ ითამაშონ, თამაშის იმ წესებით რომელსაც სიტემა აწესებს. ისინი იძულებული არიან მუდმივად იყვნენ მოვლენების ეპიცენტრში, რადგან თუ პარტია ერთხელ მაინც, თუნდაც ცოტა ხნით გაქრება სათამაშო ველიდან, ალბათობა იმისა, რომ ის კვლავ წარმატებით დაბრუნდეს სისტემაში მცირეა. განსაკუთრებით საქართველოს შემთხვევაში, სადაც უამრავი პოლიტიკური სუბიექტი იბრძვის საკუთარი ინტერესების გასატარებლად.

საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევენებმა აჩვენა თუ რა საფასურის გაღბა შეუძლიათ პოლიტიკურ სუბიექტებს იმისათვის, რათა განახორციელონ მათი უმთავრესი დანიშნულება- ძალაუფლების მოპოვება და განხორციელება.

2018 წლის არჩევნები მნიშვნელოვანია არა იმიტომ, რომ აქ ადგილი ჰქონდა საარჩევნო მანიპულაციებს და პროცესების ფალსიფიკაციის მცდელობას, არამედ იმიტომაც, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა, ეჭვქვეშ დააყენეს საკუთარი რეპუტაცია და ლეგიტიმაცია. მართალია ხშირად ისინი შეიძლება არ სარგებლობდნენ კარგი, რეპუტაციით, თუმცა არჩევნების შემდგომ მათი ეს მაჩვენებელი გაცილებით შემცირდა.

„ქართულ ოცნებას“ ყოველთვის მოუწევს ბრალდებების მოსმენა იმასთან დაკავშირებით, რომ მოისყიდა 600,000 ამომრჩეველი, მაშინ როდესაც თავად ფრაზაც, კი, მიგვანიშნებს რომ ამ კონკრეტული ქმედების განხორციელება შეუძლებელი იყო, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ 600,000 ამომრჩევლიდან საკმაოდ დიდი ნაწილი ოპოზიციის მხარდამჭერი იქნებოდა გარკვეული ნაწილი, კი, საერთოდ არ მივიდოდა არჩვნებზე.

გაერთიანებულ ოპოზიციას და მათ მხარდამჭერ მედიამაუწყებლებს ყოველთვის დაადანაშაულებენ, რომ ისინი იჭრებოდნენ სხვის პირად ცხოვრებაში და ავრცელებდნენ დეზინფორმაციას. თუმცა, მიუხედავად რეპუტაციის შელახვის,

ხელისუფლების შემთხვევაში, კი, ლეგიტიმაციის შესაძლო რისკისა, პოლიტიკური სუბიექტები ჩართული იყვნენ არჩევნების ფალსიფიკაციის პროცესში. ამ შემთხვევაში მათი ინტერესი განისაზღვრებოდა ძალაუფლების გამყარებით ან მოპოვების სურვილით, რომელიც გაცილებით ძლიერი ინდიკატორია, ვიდრე ლეგიტიმაცია და რეპუტაცია.

პოლიტიკოსი კახა კუკავა, პირდაპირ მიუთითებს, რომ პოლიტიკური პარტიები საარჩევნო მანიპულაციებში ერთვებიან ძალაუფლების და მასზე მიბმული ფინანსური ინტერესების გამო, რადგან პოლიტიკოსის მოსაზრებით, საქართველოში არსებული პოლიტიკური სისტემა იმგვარადაა მოწყობილი, რომ წაგება პრაქტიკულად პოლიტიკიდან წასვლას ნიშნავს, რამაც შესაძლოა დააზარალოს პოლიტიკოსების ფინანსური მდგომარეობა, პირადი თავისუფლება და ა.შ. მსგავს მოსაზრებას ავითარებს, რომან გოცირიძეც, მისი აზრით პოლიტიკური სუბიექტების მიზანი ძალაუფლების უკანონოდ შენარჩუნებაა. სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები ცალსახად არ აღიარებენ „ქართული ოცნების“ მიერ განხორციელბულ მანიპულაციურ ქმედებებს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პროცესში, თუმცა ზოგადი მნიშვნელობით, აქაც ძალაუფლება დასახელდა, როგორც ძირითადი დეტერმინანტი.

3.3 როგორ ვებრძოლოთ საარჩევნო მანიპულაციას

როგორც უკვე აღინიშნა, საარჩევნო მანიპულაციაზე ძალიან დიდი გავლენა აქვს საზოგადოების განვითარების და მოთხოვნების დონეს. იქ სადაც პოლიტიკისადმი დადგენილი სტანდარტი საკმაოდ მაღალია, საარჩევნო გადაცდომებიც შედარებით უმნიშვნელო ხასიათისაა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონსოლიდირებულ დემოკრატიებსა და განვითარებულ სახელმწიფოებში, პოლიტიკური სუბიექტები არ მიმართავენ არჩევნების ფალსიფიკაციის მეთოდებს. თუმცა ისეთ ქვეყნებში, როგორიც

საქართველოა პროცესები გაცილებით მწვავედ აღიქმება და გავლენაც გაცილებით ნეგატიური აქვს , რაც განპირობებულია ინსტიტუტების სისუსტით და ქვეყნის განვითარების არცთუ მაღალი დონით.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ საარჩევნო მანიპულაციასთან ბრძოლის საუკეთესო მეთოდი მაღალი დონის ინსტიტუციონალიზმი და დემოკრატიის განვითარებაა, თუმცა თუ საქართველოს მაგალითზე განვიხილავთ პირველ რიგში უნდა სოციო -ეკონომიკურ ფაქტორებს შვეხოთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალური სიდუხჭირე, მნიშვნელოვნად განაპირობებს მოქალაქეთა მართვადობას და მოწყვლადობას. საშუალო ეკონომიკური შემლების ფენის განვითარება ქვეყანაში, ერთმნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პოლიტიკოსების ნეგატიური გავლენის შესუსტებას, თუმცა, ამავედროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავად პოლიტიკოსები ხშირად მოწოდებული არიან შენარჩუნდეს სოციალური სიდუხჭირე და დემოკრატიის განვითარების დაბალი დონე, რათა თავად რაც შეიძლება გაიხანგრძლივონ მმართველობა და მარტივი ხერხებით მოიპოვონ ძალაუფლება.

არჩევნების ფალსიფიკაციის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, რომელიც თავიდან აგვაცილებს ისეთ ხარვეზებს, როგორიც იყო კოალიციაში შემავალი პარტიების მიერ ე.წ. ტექნიკური კანდიდატების რეგისტრაცია, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. თუმცა თუ არ მოხდა ყველა საკანონმდებლო ნორმის აქტივაცია და არ იქნა დასჯის მექანიზმი გამკაცრებული, რომელიც პირდაპირ შეეხება არა შემსრულებლებს, ანუ რიგით მოქალაქეებს, არამედ დამკვეთებს, მხოლოდ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ეფექტიანი აღსრულების მექანიზმის გარეშე, ვერ შეძლებს, რომ აღკვეთოს, მთელი რიგი იმ გადაცდომებისა რომელიც დაფიქსირდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. თუმცა ვერცერთი კანონი ვერ იქნება ეფექტური, იქ, სადაც არ არის სამოქალაქო პასუხისმგებლობის მაღალი დონე. ეს უკანასკნელი, კანონიერებისა და ეთიკურობისაკენ მოუწოდებს

როგორც პოლიტიკოსებს ისე რიგით ამომრჩეველს. ანგარიშვალდებულება, რომელიც მუდმივად კონტროლდება, აიძულებს პოლიტიკურ სუბიექტებს მაქსიმალურად შეიკავონ თავი ისეთი ქმედებებისგან რომელიც არა მხოლოდ დააზიანებს მათ იმიჯს არამედ საფრთხეს შეუქმნის მათ ლეგიტიმაციას. ვინაიდან ისეთ სისტემებში, სადაც პოლიტიკა და საარჩევნო პროცესები ემყარება კანონიერებას არჩევნებში დამარცხება არ აღიქმება იმდენად დრამატულად როგორც საქართველოში, რადგან პოლიტიკურმა სუბიექტებმა წინასწარვე იციან, რომ ეს არ არის მათი პოლიტიკური კარიერის და ფინანსური კეთილდღეობის დასასრული. ამიტომაც ისინი ძალაუფლების გახანგრძლივების ან მოპოვების მიზნით ნაკლებად მიმართავენ საარჩევნო მანიპულაციას და პროცესების ფალსიფიკაციის მეთოდებს.

დასკვნა

ნაშრომში გაანალიზებულმა პრაქტიკულმა და თეორიულმა საკითხებმა საშუალება მოგვცა, რომ კომპლექსურად განგვეხილა ისეთი საკითხი როგორიცაა საარჩევნო

მანიპულაცია და მისი გამომწვევი მიზეზები. თეორიულ ნაშრომებზე დაყრდნობით გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- საარჩევნო მანიპულაციაში ისევე მონაწილეობენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, როგორც სახელისუფლებო. ხოლო მათი მოქმედების და არჩევნების ფალსიფიკაციის პროცესში ჩართვის ძირითადი განმაპირობებლი ფაქტორი ძალაუფლების მოპოვებაა
- საარჩვნო მანიპულაციებში მოქალაქეთა ჩართვა გამოწვეულია სოციალური სიდუხჭირით, კულტურული ფონით და ინსტიტუციური განვითარების სიმყიფით.
- საარჩევნო მანიპულაციის განხორციელების ძირითად მეთოდს წარმოადგენს მოქალაქეთა მოსყიდვა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, დაშინება, ძლადობა, ფავორიტიზმი და სხვა.

თეორიულ ასპექტებზე დაყრდნობით, საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ანალიზმა აჩვენა, რომ პროცესებში ჩართულია რამდენიმე აქტორი, მათ შორის ოპოზიცია. ფალსიფიკაციის ძირითად ბერკეტს ხელისუფლების მხრიდან წარმოადგენს ადმინისტრაციული რესურსის, განსაკუთრებით, კი, ადამიანური რესურსის გამოყენება. ოპოზიცია ძირითადად ოპონენტისადმი ცილისწამებასა და დისკრიმინაციას მიმართავს, ხოლო ამომრჩევლის მოსყიდვა ორივე მხარისთვის თანაბრად დამახასიათებელია. განსაკუთრებული როლი აქვს სოციალური განვითარების დონეს, რომელიც უბიძგებს ამომრჩეველს მხარი დაუჭიროს ან იქნეს მოსყიდული იმ პოლიტიკური სუბიექტების მიერ, რომლებიც ცალსახად არიან მხილებული საარჩევნო პროცესების ფალსიფიკაციაში.

ანალიზმა, რომელიც გარდა თეორიისა ეყრდნობოდა პოლიტიკოსების ინტერვიუებსა და შეფასებებს, აჩვენა, რომ ისეთი ბრალდებები, როგორიც იყო 600,000 ამომრჩევლის მოსყიდვა, კოორდინატორთა სისიტემის გამოყენება არჩევნების გასაყალბებლად და

ა.შ. არ შეეფერება რეალობას და პრაქტიკული თვალსაზრისით, არჩევნების საბოლოო შედეგზე ამ ქმედებებს გადამწყვეტი ზეგავლენა არ მოუხდენია.

რაც შეხება მიზეზს, თუ რატომ ერთვებიან პოლიტიკური სუბიექტები საარჩევნო მანიპულაციებში, პოლიტიკოსებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ძირითად განმაპირობებლ ფაქტორს ძალაუფლების პრიმატი წარმოადგენს. ამით დადასტურდა დასმული ჰიპოთეზის ჭეშმარიტება, რომელიც ასევე ემთხვევა საერთაშორისო თეორიულ ცოდნას.

მნიშვნელოვან მიგნებას წარმოადგენს, იმ ფაქტის დადასტურებაც, რომ მართალია 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა უკიდურესი პოლარიზაციისა და მანიპულაციების ფონზე ჩაიარა, თუმცა რეალურად არჩევნების გაყალბებას ადგილი არ ჰქონია, რასაც ადასტურებს არა მხოლოდ პოლიტიკოსთა შეფასებები,(მედიაში ისინი მუდმივად გაყალბებაზე აპელირებენ, თუმცა ინტერვიუს პროცესში განაცხადეს, რომ არჩევნები არ გაყალბებულა) არამედ საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების შეფასებები.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები, მათ შორის 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, წარიმართა იმ პრაქტიკაზე დაყრდნობით, რომელიც ასევე ცნობილია საერთაშორისო სივრცეში. მიზეზები, ტაქტიკა და მიდგომები, სრულიად პასუხობს კვლევებით არაერთხელ დადასტურებულ მიგნებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

Amundes. I. (1999). *Political corruption: An introduction to the issue.* Bergen. Chr. Michelsen institute. https://www.cmi.no/publications/file/1040-politicalcorruption.pdf (წაწახია2019.25.05)

Birch. S. (2011). *Electoral corruption.* UK. IDCR. http://repository.essex.ac.uk/4484/1/05_11.pdf (წაწახია 2019. 27.05.)

Glaser. E.L, Goldin. C. (2004). *Corruption and reform*. Cambridge. https://scholar.harvard.edu/files/goldin/files/corruption_and_reform_an_introduction.pdf (წაწახია 2019. 27. 05.)

Graaf, G. (2007) *Causes of corruption: towards a contextual theory of corruption.* University of Amsterdam. https://www.jstor.org/register?redirectUri=%2fstable%2f10.2307%2F41288282%3Fread-now%3D1%23page_scan_tab_contents&refreqid=excelsior%3Ab766565ff6af968ea1b93055d5b2452c

(წაწახია 2019. 14. 05)

Kurer. O. (2001). *Why do voters support corrupt politicians?* Edited by Jain. A. K. London. http://155.0.68.10:8080/jspui/bitstream/123456789/33/1/%5BArvind_K._Jain%5D_The_Political_Economy_of_Corrupti%28BookFi.org%29.pdf (წაწახია 2019. 30.05)

Ohman. M. (2010). *The abuse of administrative resources.* Poland. https://scholar.harvard.edu/files/goldin/files/corruption_and_reform_an_introduction.pdf (წაწახია 2019. 30. 05.)

Pellegrini, L. Garlagh, R. (2007). *Causes of corruption: a survey of cross-country analyses and extended results.* The Netherlands. Institute if social studies. https://ideas.repec.org/a/spr/ecogov/v9y2008i3p245-263.html (წაწახია 2019. 16.06)

Sajo. A. (2003). *From corruption to extortion: conceptualization of post-communis corruption.* The Netherlands. Kluwer academic publishers.

https://www.researchgate.net/publication/226611518_From_Corruption_to_Extortion_Conceptualization_of_Post-Communist_Corruption (წანახია 2019.3.06)

Scheffer. F.Ch. (2002). *What is vote buying?* Cambridge. Massachusetts institute of technology.http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.577.8809&rep=rep1&type=pdf (წანახია 2019. 6.06)

Simpser. A. (2013). *Why Governments and parties manipulate elections.* New-York. Cambridge university press.
http://assets.cambridge.org/97811070/30541/frontmatter/9781107030541_frontmatter.pdf
(წანახია 2019. 11. 06)

Warren. M. (2006). *Political corruption as duplicitous exclusion*. USA. American political science association.
https://www.jstor.org/register?redirectUri=%2fstable%2f10.2307%2F20451821%3Fread-now%3D1%23page_scan_tab_contents&refreqid=excelsior%3Aa1a6ec675f435b56572033b957bee62d (წანხია 2019. 15. 05)

Winters. M, Weitz. R. (2013). *Lacking information or condoning corruption: when do voters support corrupt politicians?* New-York.Comparative politics.
https://www.ippri.unesp.br/Modulos/Noticias/129/jcpo45-4_wintersweitzshapiro.pdf
(წანახია 2019. 20. 05.)

Xezonakis, G. Kosmidis, S. Dahlberg, S. (2015). *Can electors combat corruption? Institutional arrangements and citizen behavior.* UK. European journal of political research.
https://ejpr.onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/1475-6765.12114 (წანახია. 2019. 23.05)

საქართველოს კანონი საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ. (1997.17.10)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550?publication=72 (წანახია 2019. 6.07)

საქართველოს კონსტიტუცია (1995.24.08)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 (ნანახია 2019. 6. 07)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. (1999. 22.07)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=208 (ნანახია 2019. 6.07)

საქართველოს საარჩევნო კოდექსი. (2011. 27. 12)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=54 (ნანახია 2019. 6.07)

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948. 10. 12.)
http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf (ნანახია 2019. 6. 07)

სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკა.
http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf (ნანახია 2019. 24. 06)

ეუთოს სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში 2018. 18 სექტემბერი-9 ოქტომბერი. (2018.12.10)
https://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/399644?download=true (ნანახია 2019. 23. 06)

ეუთოს სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. (2019. 28.02) *საპრეზიდენტო არჩევნები 2018 წლის 28 ოქტომბერი და 28 ნოემბერი.* ვარშავა.
https://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/399644?download=true (ნანახია 2019. 30. 06)

ეუთოს სადამკვირვებლო მისიის დასკვნითი ანგარიში.(2008, 4.03) *რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები. 2008 წლის 5 იანვარი.* ვარშავა
https://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/30959?download=true (ნანახია 2019. 2. 07)

ეუთოს სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. (2012. 21. 12) *საპარლამენტო არჩევნები. 2012 წლის 1 ოქტომბერი.* ვარშავა
https://www.osce.org/ka/odihr/elections/98585?download=true (ნანახია 2019. 30. 06)

საქართველო- არჩევნების ისტორია 1990-2010 ცესკო.(2011.23.06)http://cesko.ge/res/old/other/9/9077.pdf (ნანახია 2019. 30.06)

საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო. 2016 წლის 8 ოქტომბრის, საპარლამენტო არჩევნების შეფასება. (2016.9. 10) https://www.transparency.ge/ge/blog/2016-tslis-8-oktombris-saparlamento-archevnebis-shepaseba (ნანახია 2019. 30. 06)

საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს შეფასება. (2018. 27. 10.) https://www.transparency.ge/ge/post/2018-clis-saprezidento-archevnebis-cinasaarchevno-garemos-shepaseba (ნანახია 2019. 3.07)

საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო. 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შეფასება. (2018. 29.10) https://www.transparency.ge/ge/post/2018-clis-28-oktombris-saprezidento-archevnebis-saboloo-shepaseba (ნანახია 2019. 3. 07)

საამრთლიანი არჩევნები. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში. (2018.) თბილისი. http://www.isfed.ge/geo/angarishebi/2018-tslis-saprezidento-archevnebis-saboloo-angarishi (ნანახია 2019. 30.06)

სამართლიანი არჩევნები, საია, საეთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო გარემოს შეფასება. (2018. 27.11) https://gyla.ge/ge/post/2018-tslis-saprezidento-archevnebis-meore-turis-tsinasaarchevno-garemos-shefaseba#sthash.Z0I0F9Ub.l8ycLo4q.dpbs (ნანახია 2019. 5.07)

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის განცხადება.(2018. 29. 10.) https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_2018%20Presidential%20elections%20preliminary%20statement_GEO_0.pdf (ნაანხია 2019. 5. 07)

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი. სადამკვირვებლო მისიის განცხადება. (2018. 29.11)

http://cesko.ge/res/docs/Georgia_PresidentialElectionRunoffStatement_Nov29GEO.pdf (ნანახია 2019. 6.07)

ინტერვიუ წარლამენტის წევრ რომან გოცირიძესთან. (2019 წლის 27 ივნისი)

ინტერვიუ პოლიტიკოს შალვა ნათელაშვილთან. (2019 წლის 3 ივლისი)

ინტერვიუ პარლამენტის წევრ დავით სონღულაშვილთან. (2019 წლის 16 მაისი)

ინტერვიუ პოლიტიკოს კახა კუკავასთან. (2019 წლის 1 ივლისი)

ინტერვიუ NDI-ის პროგრამების დირექტორის მოადგილე, თამარა სართანიასთან (2019 წლის 5 ივლისი)

დანართი 1

ინტერვიუს გზამკვლევი

1. როგორია საარჩევნო გარმო დღეს, და როგორი იყო წარსულში?

2. როგორ გესმით ტერმინი საარჩევნო მანიპულაცია?

3. ვინ შეიძლება რომ მიმართოს მანიპულაციას? მხოლოდ ხელისუფალმა თუ ოპოზიციამაც?

4. რამ შიძლება უბიძგოს პოლიტიკურ სუბიექტს რომ ჩაერთოს საარჩევნო მანიპულაციაში?

5. ვისი მხრიდან ჰქონდა ადგილი 2018 წელს მანიპულაციების გამოყენებას?

6. გაყალბდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები?

7. ვალების განულების პროექტმა იქონია შედეგებზე რეალური გავლენა?

8. კითხვა ოპოზიციას- თქვენ რომ მოხვიდეთ ხელისუფლებაში მიმართავთ საარჩევნო მანიპულაციებს?

9. რომ არა ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული მანიპულაციები, 2018 წლის არჩევნებზე ოპოზიციური კანდიდატი გაიმარჯვებდა?

10. მიმართავს ოპოზიცია მანიპულაციებს?

11. რა ბერკეტი აქვს ოპოზიციას მანიპულაციისათვის?

12. არჩევნების გაყალბებაზე აპელირება ოპოზიციის მხრიდან რეალობა იყო თუ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ბერკეტი?

13. რა ღირს ქართველი ამომრჩევლის ხმა?

14. ფალსიფიკაციური მეთოდები უნებლიე გადაცდომა იყო თუ მიზანმიმართული ქმედება?

15. როგორ შეაფასებთ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს?

16. 2020 წლის არჩევენბზე მოხდება მანიპულაციური მეთოდების გამოყენება? ვისი მხრიდან და რა ტიპის?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tamari Razmadze

Electoral manipulations in Georgia and its causes

Political science

Master thesis is prepared to obtain master degree in Political Science

Course Supervisor: Aleksandre KuKhianidze

Doctor of Philosophical science

Professor

Tbilisi

2019